ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 29 სექტემბერი, 2023 №192 (9228) ფასი: 80 თეთრი

## მოკლულია 21 წლის ბიჭი — საზარელი ამბავი გურიიდან



გვ.3

# „პრეზიდენტის იმპიჩმენტს არ გამოვრიცხავ, ზურაბიშვილმა ნაცებიც გაანაწყენა“



თორნიკე შარაშენიძე: „მელიას „ლელო“ თუ მიიღებს, სწორი გადაწყვეტილება იქნება, ხმებსაც მიუტანს“



გვ.2

გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „სალომე ზურაბიშვილს არ ვენდობით“

## „ფარცხალაძეს რაც უნდოდა, მოასწრო, ქონება შვილს გადაუფორმა“

გვ.3



ვახტანგ ძაბირაძე: „არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი უნდა“

## „რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან მიდის“



გვ.4

## დათო ლორთქიფანიძე: „კანდიდატის სტატუსის მონიჭებისთვის პრობლემის შექმნას ოპოზიცია ცდილობს“



გვ.3



## ელენე ახვლედიანს იოსებ გრიშაშვილიც ეტრფოდა

კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

გვ.5



6 ვიქტორ სანიკიძე ფიბას კომისიაში შეიყვანეს

5 თბილისში აკრძალული წიგნების კვირეული გაიმართება

6 ბაიდენის ძაღლმა საიდუმლო სამსახურის აგენტები დაკბინა

6 რუსეთ-უკრაინის ფრონტი — სად უნდა ველოდოთ გამწვავებას?!

# „პრეზიდენტის იმპიჩმენტს არ გამოვრიცხავ. ზურაბიშვილმა ნაცებიც გაანაწყენა“

## თორნიკე შარაშენიძე: „მელიას „ლელო“ თუ მიიღებს, სწორი გადაწყვეტილება იქნება, ხმებსაც მიუტანს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.



***— ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ პრეზიდენტის ვიზიტები ქვეყნისთვის დამაზიანებელიაო. რას ფიქრობთ თქვენ?***

— როდესაც პრეზიდენტი უცხოეთში დადის და შეხვედრებს მართავს, ჩვენთვის უცნობია, ის რაზე საუბრობს. ამიტომ ხელაღებით ვერც ამას ვიტყვი და ვერც იმას.

***— ზოგადად ვის საქმეს აკეთებს სალომე ზურაბიშვილი? ბოლო პერიოდია მეტი კითხვის ნიშანი გაჩნდა მის ქმედებებთან დაკავშირებით.***

— თავის საქმეს აკეთებს. თუ დავაკვირდებით მის ქმედებებს, თუნდაც ფარცხალაძესთან დაკავშირებით, აშკარად იკვეთება, რომ ან რაღაც თავისას ხლართავს, ან გაუგებარია, რას აკეთებს საერთოდ. ფარცხალაძესთან დაკავშირებით რაც დაატრიალა, ეს გაიგო ვინმემ? ან საერთოდ რამე ლოგიკაში ჯდება?! არ ჯდება, ფაქტია.

***— სამი თვის ვადა მაქვსო.***

— თავის ჭკუაზე დადის, როგორც ჩანს, ვერ აკონტროლებს ვერავინ. თავის დროზე, ის გაიყვანეს ძალით და ხალხს ლამის დაუჩოქეს, რომ პრეზიდენტად აერჩიათ. პირადად ჩემთვის, თავიდანვე გაუგებარი იყო, მსგავსი კანდიდატურა როგორ შეარჩიეს?! მე კარგად ვიცოდი მისი ისტორია საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს, როგორი კონფლიქტური ადამიანი იყო და რამდენ ადამიანს გაუფუჭა კარიერა საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავისი მძიმე ხასიათის გამო. ჩემთვის მართლა გაუგებარი იყო, რა პრინციპით შეარჩიეს მსგავსი ადამიანი. აჰა, ყველაფერი მშვენივრად მოუბრუნდათ უკან.

***— თავიდანვე არ მოგწონდათ მისი კანდიდატურა?***

— არა. მე აქტიურად ვუჭერდი მხარს გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურას და გულწრფელად ვეუბნებოდი ხოლმე „ოცნების“ ამომრჩეველს და ლიდერებსაც, რომ მათთვის ვაშაძე ჯობდა. ვაშაძე გაწონასწორებული და პროგნოზირებადი ადამიანია და აქეთ მხარეს, სალომეს სახით იყო ადამიანი, რომელსაც აქვს ძალიან რთული ხასიათი. ეს უკვე არაერთხელ გამოავლინა.

***— ანუ ცუდად შემოუბრუნდა „ოცნებას“?***

— რა თქმა უნდა. რაც მოსალოდნელიც იყო. ჩემთვის გაუგებარია, ვინ ურჩიათ მისი კანდიდატურა, ან რა ნიშნით შეარჩიეს. კი, ერთი მომგებიანი იყო ის, რომ ქალი პრეზიდენტი ქვეყნისთვის, რომელიც ევროკავშირისკენ ისწრაფვის, ლამაზად ჟღერს, მაგრამ ეს არის სულ დამსახურება და მეტი არაფერი?! საფრანგეთის მოქალაქე რომ არის, ესეც კარგია და მერე? დანარჩენი?!

***— საზოგადოების და ექსპერტთა მოსაზრებები ორადაა გაყოფილი, ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი, ფარცხალაძის საკითხთან დაკავშირებით, სწორ პოზიციაზეა, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ის ივანიშვილს ვერ უპირისპირდება და ამიტომ იქცევა ასე. თქვენ რას ფიქრობთ? რა თამაშს, ან ვის თამაშს თამაშობს სალომე ზურაბიშვილი?***

— საკუთარი თავის აქტუალიზაციაა ეს ყველაფერი და მეტი ვერაფერი. თუმცა ლოგიკას აქაც ვერ ვხედავ. ისევ და ისევ მის რთულ ხასიათში უნდა ვეძებოთ პასუხი ამ გამოცანაზე.

***— ბატონო თორნიკე, აქტიურად განიხილება პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი. საუბარია, რომ ნაციონალებიც გაუნაწყენდნენ ზურაბიშვილს და ხომ არ აღმოჩნდება ისე, რომ ას ხმას შეაგროვებს „ოცნება“?***

— არაფერს აღარ გამოვრიცხავ პრეზიდენტის უცნაური გამოხტომების შემდეგ. უკვე აღარ გამოვრიცხავ, რომ ის ასი ხმა პარლამენტში შესაძლოა მოგროვდეს. სალომემ აშკარად გაანაწყენა ნაცმოძრაობა, მიშას არ იწყალებს. აქამდე იმპიჩმენტი იყო გამორიცხული, მაგრამ ახლა შეიცვალა ვითარება და აღარაფერს გამოვრიცხავ.

***— შესაძლოა შეგროვდეს საჭირო ასი ხმა?***

— დიახ, შესაძლოა. არც ის არის გამორიცხული, მანამდე კიდევ რამე სასწაული ჩაიდინოს ქალბატონმა პრეზიდენტმა.

***— ბატონო თორნიკე, რას იტყვით ლავროვის განცხადებაზე, რომ ფრენების აღდგენა ორმხრივი შეთანხმების შედეგია. რატომ ხდება ისე, რომ ყოველთვის მნიშვნელოვანი ეტაპის წინ გააქტიურდება ხოლმე რუსეთი? კანდიდატის სტატუსის მიღება – არ მიღების ბედი წყდება და ახლა ისევ რუსული ოცნების ყვირილი.***

— ერთი რაღაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი განცხადებას აკეთებს, იმას საერთოდ არ ახსოვს და არ აინტერესებს არაფერი. სულ არ აინტერესებს, ეს როგორ იმოქმედებს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე. რაც მოადგებათ ენაზე, იმას ლაპარაკობენ. ფიქრობენ, რომ არავის წინაშე ანგარიშვალდებულები არ არიან და რასაც უნდათ, იმას იტყვიან. დაახლოებით ეს დამოკიდებულება აქვთ.

***— ბატონო თორნიკე, კანდიდატის სტატუსს ელოდება ქვეყანა. საუბარია, რომ უკვე მზად არის დასკვნა, რომელიც 31 ოქტომბერს გამოქვეყნდება. ბევრს დადებითი მოლოდინი აქვს, თუმცა ოპოზიცია კვლავ კრიტიკის რეჟიმშია და აცხადებს, რომ „ოცნებას“ არ შეუსრულებია 12 პუნქტი და ვერ მივიღებთ სტატუსს. თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?***

— შესაძლოა, „ოცნებამ“ სხაპასხუპით არ შეასრულა 12 პუნქტი, მაგრამ ვინ შეასრულა? მოლდოვას აქვს შესრულებული თუ უკრაინას?! ეგრე არ არის რა საქმე. ყველაფერი ხომ შედარებითია ამ ქვეყანაზე? რომელს აქვს შესრულებული? ან უკრაინას რა ნამუსით უნდა მოსთხოვო, რომ 12 პუნქტი შეასრულოს. მოლდოვამ შეასრულა? მოლდოვა, საქართველოზე გაცილებით კორუმპირებული ქვეყანაა. გაცილებით, შედარებაც კი არ შეიძლება. კი, „ქართული ოცნება“ ხშირად უცნაურობებს სჩადის და უცნაურობებს ლაპარაკობს, მაგრამ მხოლოდ ამით გამართლება სტატუსის არ მოსაცემად, მარტივი საქმე არ იქნება.

***— მოგვცემენ სტატუსს დათქმით, გარკვეული პირობებით თუ ყველანაირი პირობის გარეშე?***

— ალბათ, რაღაც დათქმით მოგვცემენ. ფაქტია, რომ ბრიუსელში ეს მთავრობა დიდად არ მოსწონთ, ასე რომ,. დათქმით მოგვცემენ.

***— ფარცხალაძის თემა რამდენად გვაზიანებს?***

— ერთი ფარცხალაძის დასანქცირებამ არ მგონია, ეს პროცესი დააზარალოს. უბრალოდ, თანმიმდევრული უნდა ყოფილიყო ამ საკითხში ხელისუფლება. ასე რომ მოქცეულიყვნენ, ეს საკითხი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა.

***— რატომ აიჭრნენ?***

— პირველი დღე იყო აშკარად დისტანცირება და აშკარად ძალიან სწორი პოზიცია იყო. მერე ამას მოყვა რაღაც გამოხტომები, გამოვარდნები, რომ ფარცხალაძე საქართველოს მოქალაქეა და მას იცავს კონსტიტუცია, ეს რა საჭირო იყო, ცოტა გაუგებარია.

***— არის ასეთი მოსაზრებაც, რომ შანტაჟს ჰქონდა ადგილი ფარცხალაძის მხრიდან.***

— კარგად ყოფილა მაშინ მაგათი საქმე, თუ ფარცხალაძე აშანტაჟებს. მაშინ გაცილებით მძიმედ ყოფილა საქმე.

***— წინ არჩევნებია, რამდენად რთულ წინასაარჩევნო პერიოდს ელით? ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა ივანიშვილის შემოსვლაც გახდეს საჭირო.***

— ივანიშვილის შემოსვლა გამორიცხულია. წინა საარჩევნო ფონს რაც შეეხება, ნამდვილად კარგი ისტერიკა გველოდება. ამიტომ, უნდა შევეცადოთ, ეს პერიოდი მშვიდად გავიაროთ.

***— ნაციონალების დაშლაზე საუბრობენ და არჩევნების წინ ეს არ დააზიანებთ მათ?***

— რადგან ბარიერი საკმაოდ მაღალია, პატარ-პატარა პარტიები მიეტმასნებიან და გაერთიანდებიან მათთან.

***— ნიკა მელიაზე რას იტყვით?***

— ეგ ფაქტიურად გასულია პარტიიდან. ის შეეცდება, სხვა გაერთიანებაში მოხვდეს. კიდევ თუ ვინმეს აქვს ამ ეტაპზე ბარიერის გადალახვის შანსი, თეორიულად „ლელო“ ჩანს. მეტი არავის. ლოგიკურია, მელია იქით უნდა წავიდეს.

***— „ლელოს“ და მელიას შერწყმას ფიქრობთ?***

— თუ მიიღებს „ლელო“, სწორი გადაწყვეტილება იქნება. ფაქტია, რომ მელია მიიტანს ხმებს. როგორც ყოველთვის, საინტერესო პროცესები გველის.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „სალომე ზურაბიშვილს არ ვენდობით“

## „მე არასოდეს არ ვიყავი გაჭირვებული, პოლიტიკამდეც ვმუშაობდი ამ ქვეყნის უმდიდრეს ადამიანთან და ვმართავდი ყველაზე მდიდარ ფონდს“




გუშინ, 28 სექტემბერს, ირაკლი ღარიბაშვილი კახეთში იმყოფებოდა. ალავერდობის დღესასწაულთან დაკავშირებით ალავერდის მონასტერიც მოილოცა.

დაათვალიერა აღდგენილი მონასტერი და მიმდებარე ტერიტორია, ასევე, უძველესი მარანი და მარანში არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილი ექსპონატები.

ღარიბაშვილმა თელავში ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მისი განცხადებით, საქართველო იმსახურებს კანდიდატის სტატუსს და ამის შესახებ ევროპელ ლიდერებთანაც ისაუბრა.

— იცით, რომ მე მქონდა შეხვედრა ბატონ შარლ მიშელთან, რამდენიმე ევროპული ქვეყნის ლიდერებთან, სადაც მე მათ ღიად ვესაუბრები, იმაზე უფრო მეტს ვსაუბრობ ღიად, დახურულ ფორმატში, რასაც საჯაროდ ვამბობ, ჩემი გზავნილი არის მარტივი და ძალიან ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი, რომ ქვეყანა, გატარებული რეფორმების გათვალისწინებით და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით და აი ამ რთული გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, მე ეს მათ მკაფიოდ დავუფიქსირე, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში, ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, სხვა შემთხვევაში ეს იქნება მორიგი სტრატეგიული შეცდომა ევროკავშირის და, უბრალოდ, ძალიან უსამართლო მოპყრობა ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის.

— ჩვენ არავისი კარგი არ გვწყინს, არ გვშურს, გვინდა, ყველას ვუსურვოთ უფრო მეტი პროგრესი, მაგრამ ერთი რამ მინდა ცალსახად დავაფიქსირო, რაც მე მათ ვუთხარი პირდაპირ, რომ ჩვენ ვიმსახურებთ სტატუსს, სხვა შემთხვევაში ამოუხსნელი იქნება მათი გადაწყვეტილება.

მე დიდი იმედი მაქვს და ახლა, რამდენიმე დღის წინ, ამერიკის შემდეგ უკვე, ბატონი ილია დარჩიაშვილი იყო ჩასული ბრიუსელში, მას ჰქონდა კარგი შეხვედრები და საკმაოდ პოზიტიური მესიჯები და სიგნალები მოდის ევროპიდან, – განაცხადა პრემიერმა.

• • •

### ვილაცებს მართლა უნდათ უკრაინიზაცია, ავღანიზაცია, შეიძლება სირიის სცენარის განმეორება

პრემიერის თქმით, ვერ მიიღებს კრიტიკას იმ ადამიანისგან, რომელმაც მიზანმიმართულად და გააზრებულად უღალატა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ღარიბაშვილი გიორგი ქადაგიძის განცხადებას გამოეხმაურა:

— ქადაგიძე ბანდიტი და ადეიშვილის ხელის ბიჭი, პროკურორი, რომელიც გადაიყვანა ადეიშვილმა ეროვნულ ბანკში. ვის დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებით თქვენ?! როგორ ბედავთ საერთოდ მაგის ლაპარაკს?! ადეიშვილის ხელის ბიჭი, ბანდიტი, ძარცვავდა, პირდაპირ ბანკებს ატერორებდა. მე მახსოვს „ქართუ ბანკის“ გაკოტრების მცდელობის საქმე. ჩართული იყო პირადად ბატონი ქადაგიძე. დღეს გამოდის და ლაპარაკობს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობაზე. ეს არ არის ცინიზმი და შეურაცხყოფა? ამიტომ ამ ადამიანებისგან ჩვენ არანაირ კრიტიკას არ მივიღებთ. რომ ლაპარაკობენ, რატომ ლაპარაკობთ და იხსენებთო, იმიტომ ვლაპარაკობთ და ვიხსენებთ, რომ ამ ადამიანებს, ამ ყველაზე ანტიეროვნულ ძალას, დღესაც კი აქვს სურვილი, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ და პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ამიტომ არის მიუღებელი მათი ეს განცხადებები. ნამდვილად ასე უნდა ითქვას, რომ მით უმეტეს, მიუღებელია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების მოღალატეებისგან რაიმე განცხადება და ვინმეს კრიტიკა.

მე კიდევ ვიმეორებ, რომ არავის დამცველი არ ვარ, მაგრამ ზოგადად ყველა მოქალაქეს ვიცავ და ყველა მოქალაქის ინტერესებს ვიცავ, თქვენზეც რომ იყოს საუბარი.

ვერ მივიღებ კრიტიკას იმ ადამიანისგან, რომელმაც მიზანმიმართულად და გააზრებულად უღალატეს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და არაერთგზის, დღესაც ღალატობენ. როცა ამბობენ, რომ მეორე ფრონტი უნდა გაიხსნას, ამას ყოფილი მინისტრი, ბატონი ვანო მერაბიშვილი ღიად ამბობს, რომ თუ ისინი დაბრუნდებიან ხელისუფლებაში, მეორე ფრონტს გახსნიან თურმე. ვინმეს თუ წარმოუდგენია, საერთოდ რას გულისხმობს მეორე ფრონტის გახსნა ქვეყანაში და რა შედეგს მოუტანს და მოუტანდა ჩვენს მოსახლეობას, ჩვენს ხალხს. თქვენ წარმოგიდგენიათ, ახლა მშვიდად რომ გადაადგილდებით, აქ უბედურება იქნებოდა, ვილაცებს მართლა უნდა უკრაინიზაცია, ავღანიზაცია, შეიძლება სირიის სცენარის განმეორება, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ, ყველას გავცემთ საკადრის პასუხს. ნურავის ნუ ექნება ილუზია, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

• • •

### „ჩემი ოჯახი არასოდეს ყოფილა გაჭირვებული“

პრემიერის თქმით, „მას არასოდეს უსარგებლია ბიუჯეტით“.

— თქვენ თუ მოისმინეთ შესაბამისი უწყებების განცხადებები, იგივე ბატონი ანზორ ჩუბინიძე გამოვიდა, მან დაადასტურა. მე

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
ISSN 1987-9385
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მურაზ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფარცხალაძეს რაც უნდოდა, მოასწრო, ქონება შვილს გადაუფორმა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი უნდა“



ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, სამი თვის განმავლობაში, რომელიც ფარცხალაძის მოქალაქეობის საკითხის გადასაწყვეტად პრეზიდენტს აქვს, რა შეიძლება მოხდეს? ამ საკითხს ამოწურულად გამოაცხადებს ხელისუფლება თუ ძიების შედეგები გახდება ცნობილი?***

– არაფერი განსაკუთრებული არ მოხდება. კარდინალური პოლიტიკური ცვლილებები არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება. არც იმ შემთხვევაში, თუ ფარცხალაძეს პრეზიდენტი მოქალაქეობას შეუწყვეტს და არც იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ფარცხალაძეს დააკავებს. რაც უნდა მოესწრო ფარცხალაძეს, ის უკვე გააკეთა. ეს ეხებოდა მისი ქონების შენარჩუნებას. როგორც ცნობილია, ქონება შვილზე გადააფორმა. ახლა დიდი მნიშვნელობა ალარ აქვს, მოქალაქეობას სამი თვის მერე შეუწყვეტს პრეზიდენტი თუ ხვალ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა თავისი ერთპიროვნული განკარგულებით ის საქმე გააკეთა, რაც ფარცხალაძეს სჭირდებოდა.

სიმართლე გითხრათ, მე იმაშიც ვერ ვხედავდი დიდ კატასტროფას, თუ პრეზიდენტი იმავე დღეს შეუწყვეტდა მოქალაქეობას. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს მოქალაქე, უფრო მეტად არის ქართული მართლმსაჯულების წინაშე პასუხისმგებელი, გასაგებია, ეს ასეა, მაგრამ როდესაც მართლმსაჯულების სისტემა გამართულია და მასთან არავის არ აქვს არავითარი კითხვა და ეჭვი.

ამიტომ, არავითარი მოლოდინი არ მაქვს, ამ სამ თვეში რაიმე განსაკუთრებული მოხდეს პოლიტიკურ პროცესში.

***– 3-4 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლო პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესის განხილვას იწყებს. როგორი შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება? ან ცალკეული მოსამართლეების პოზიციები?***

– ამ შემთხვევაშიც არაფერ განსაკუთრებულს არ ველოდები. სამწუხაროდ, მოსამართლეების პოზიციებიც იქნება იდენტური. თუმცა, პროცედურულად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი. ავტომატურად არ უწყდება. პროცესი პარლამენტში ინაცვლებს. შემდეგ 100 დეპუტატმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმპიჩმენტზე, შეუჩეროს თუ არა უფლებამოსილება პრეზიდენტ ზურაბიშვილს.

***– 100 ხმა არა აქვს „ქართულ ოცნებას“. ოპოზიციიდან მოიპოვებს დამატებით ხმებს?***

– დიახ, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. არ ვიცი, მოიპოვებს თუ არა, რთული სათქმელია. თუმცა, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის იმპიჩმენტი უნდა.

***– რატომ შეიძლება არ უნდოდეს?***

– ძალიან მარტივი მიზეზის გამო: სალომე ზურაბიშვილს აქვს ხალხის სიმპათია და აქვს ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა.

***– ფიქრობთ, რომ იმპიჩმენტის შემთხვევაში პარიზში, სახლში კი არ დაბრუნდება, არამედ ოპოზიციურ ველზე დარჩება?***

– დიახ, სწორედ ასე ვფიქრობ. ამ შემთხვევაში ის ჩაუდგება მესამე ცენტრის ფორმირებას სათავეში. ასეთი ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი კი ნამდვილად შეძლებს არჩევნებზე ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვას.

***– რაც არანაირად არ აწყობს „ქართულ ოცნებას“.***

– დიახ, რაში აწყობს. „ოცნების“ სურვილია ნაციონალურ მოძრაობასთან ერთი-ერთზე დარჩენა. აქამდე ამით იგებდნენ არჩევნებს და ზუსტად იგივეს აპირებენ 2024 წელსაც, ოდნავი კორექტივებით.

თუ სალომე ზურაბიშვილს დავუბრუნდებით, 2005 წელს, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა, მაშინ არ ჰქონდა დასავლეთის მხარდაჭერა, მაშინ დასავლეთი სააკაშვილს უჭერდა მხარს და არა ზურაბიშვილს, როგორც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფიგურას. დღეს სულ სხვა რეალობაა და ეს გლობალური პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებითაც ხდება. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ იმპიჩმენტის შემთხვევაში, ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე ბევრი რამ გადალაგდეს. მაშინ ალბათ „ოცნება“ საარჩევნო ბარიერის დაწევის ინიციატივითაც გამოვა, რომ სიტუაცია აჭრას. პოლიტიკური სპექტრი უფრო ჭრელი და მრავალფეროვანი იყოს პარლამენტში, რათა უფრო ადვილი იყოს მოკავშირეების თუ სატელიტების პოვნა.

***– ნიკა მელიამ განაცხადა, რომ დამოუკიდებელ პლატფორმას ქმნის, არჩევნებზე როგორი შედეგები შეიძლება ჰქონდეს?***

– 5-პროცენტიან ბარიერს აუცილებლად გადალახავს. ძალიან ჭკვიანური განაცხადია. მე ველოდი ამ განაცხადს. ამის შესახებ პრესაში არაერთხელ ვთქვი. ჯერ სწორად და რაციონალურად იქცევა. ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის ელექტორატის დიდ ნაწილს გაიყოლებს. მისი გუნდიც ბევრად უფრო მომხიბლავად გამოიყურება, ვიდრე ხაზეიშვილის გუნდი.

# „კანდიდატის სტატუსის მონიჭებისთვის პრობლემის შექმნას ოპოზიცია ცდილობს“

## დათო ლორთქიფანიძე: „საქართველოში ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ამოვარდნილი არიან ოპოზიციური პარტიების ქრესტომათიური გაგებიდან“



**„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***– ბატონო დათო, კანდიდატის სტატუსის მოახლოების პარალელურად, საქართველოში პოლიტიკური პროცესები გააქტიურებულია – ერთი მხრივ, პარლამენტშია შეჯახებები, მეორე მხრივ, საკრებულოებსა და ქუჩაშიც კი. იარაღით მუქარაც კი გაისმა. მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით?***

– ყველა თავისი სტრატეგიით მოქმედებს. დესტრუქციული ოპოზიცია ისეთი ხმაურის ატეხას ცდილობს, რომელიც ქვეყანას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭებაში რაღაც პრობლემას შეუქმნის, რათა შემდეგ მიზეზი ჰქონდეთ. თქვან, ხომ ხედავთ, ამათ სტატუსი არ მისცესო და ხალხი ქუჩაში გამოიყვანონ. ფიქრობენ, რომ ეს მათი ერთადერთი ხსნაა.

„ნეტარ არიან მორწმუნენი“. მათ ამის ძალა არ აქვთ. ხალხი მათ მხარს არ უჭერს. ვფიქრობ, ეს ყველაფერი დიდი სცენარის შემადგენელი ნაწილია. მათი აგრესია, მათი თავდასხმები ცენტრალურ და მუნიციპალურ ხელისუფლებაზე, უნდათ ქვეყანაში დაძაბულობის კერები შექმნან.

***– სხვათა შორის, ეს ყველაფერი ხდებოდა პრემიერის ამერიკაში ვიზიტის პარალელურად, ანუ, როდესაც პრემიერი გაეროში გამოდიოდა, შეხვედრებს მართავდა, საქართველოში აურზაური იყო.***

– საქმეც ესაა.

***– მმართველი პარტიის, ზოგადად ხელისუფლების პასუხისმგებლობაც არ არის, რომ ასეთი დაპირისპირებები თავიდან აიცილოს?***

– ხელისუფლება (კლასიკური გაგებით) ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, ყველაფერზეა პასუხისმგებელი, მაგრამ საქართველოს პირობებში ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური ძალები, საერთოდ, ამოვარდნილი არიან ოპოზიციური პარტიების ქრესტომათიური გაგებიდან.

ე.წ. ოპოზიცია კი არ იბრძვის, ხელისუფლებას შეცდომებზე მიუთითოს და გამოსწორების გზები დასახოს, არამედ მხოლოდ ნიჰილიზმის დათესვასა და დაძაბულობის მუხტის შემოტანას ცდილობს. პრემიერის ამერიკაში ვიზიტის დროს მათი აქტიურობა ზუსტად ამას ემსახურებოდა.

რადგან პრემიერი ამერიკაში იყო, მის მიმართ მეგობარი ქვეყნების ყურადღება მაღალია. ამ დროს, ამა თუ იმ სახელმწიფოს ლიდერი, რომელიც გაეროშია, ინფორმაციას ღებულობს, აი, საქართველოში თურმე რა ხდება. ამ დროს არაფერი ხდება.

***– ამის პარალელურად უნდა გავიხსენოთ პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებული პროცესი, ამერიკის მიერ ფარცხალაძის დასანქცირება. ეს ყველაფერი ერთობლიობაში პატარა ქვეყნისთვის პრობლემებს ქმნის.***

– ამბობთ, ნაცოპოზიციას ძალა არ აქვს, ხალხი მხარს არ უჭერსო. თუმცა, გიორგი ვაშაძემ ძალიან მკაფიოდ თქვა, იარაღსაც კი ავიღებთ ხელშიო. ხელისუფლებას მაიდანს ჰპირდებიან?

***– ვაშაძის პერსონით დავიწყოთ. მისი ძალად გაბრაზებული სახის მიმიკები, საზოგადოებაში ღიმილს იწვევს და იუმორის ხასიათზე აყენებს. ვაშაძეს ბუნებით მინიჭებული ლიდერის ქარიზმა არ აქვს და უნდა მძაფრი გამონათქვამებით, სახის ნაკვთებისა და ძარღვების დაძაბვით, ვიღაცას თავი მოაწონოს.***

ეს შინაგანად უნდა გქონდეს. წარმოიდგინეთ, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას მიმიკების დაყენებაზე რომ ემუშავათ. ქარიზმატული ბუნებრივად უნდა იყო. ნებისმიერი ლიდერი, ლიდერად იბადება. მერე საზოგადოებას თავი მოაწონო, ასე არ არის.

ახლა მთავარ თემაზე გადავიდეთ – იარაღის აღების „უფლება“ ყველას აქვს, მაგრამ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, ვინც ხელში იარაღს აიღებს, კანონით პასუხი აგებინოს.

გიორგი ვაშაძე პარლამენტის წევრია. საქართველოს პარლამენტის წევრს უფლება აქვს, იარაღი ატაროს. მერე გეტყვიან, პარლამენტის წევრი ვარ, იარაღის ტარების უფლება მაქვს, ჩემ თავზე ვთქვი, თქვენ რა გინდათო. ისინი რასაც ლაპარაკობენ, სამართლებრივად რამე მექანიზმს არ გიტოვებენ, რომ იმოქმედო, მაგრამ საშიშ მოწოდებებს აკეთებენ.

– საშიშ მოწოდებებს თუ აკეთებენ, თქვენ კი ამბობთ, არაფერი შეუძლიათო. ისე ხომ არ გამოვა, მგელი მოდის, მგელი მოდისო და მგელი მართლა მოვიდეს.

***– ბევრი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, საქართველოს მასშტაბით ძალიან ბევრი გადაადგილება მიწევს. ბოლო სამ დღეში ზესტაფონის, ბაღდათისა და საგარეჯოს რაიონებში ვიყავი. მადლობა იმ ამომრჩეველს, რომელიც ყურადღების გარეშე ნამდვილად არ მტოვებს. რომ დამინახავენ, ძალიან მოკრძალებულად ჩემთან გასაუბრებას ცდილობენ. ყველას ვესაუბრები, მათ შორის, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებსაც.***

ე.წ. ოპოზიციის სასარგებლო განწყობა არ არის. ისინი უიმედო მდგომარეობაში არიან. რაიონებში მათ რაღაც კატეგორია მხარდამჭერები ჰყავთ, მაგრამ მინიმალურის მინიმალურია. მათ რესურსი არ აქვთ და ცდილობენ, საზოგადოებას მოაჩვენონ, ვითომ მათ რესურსი აქვთ.

***– მაიდანური და ანტიმაიდანური ჯგუფები ორივე რუსული საქმის გამკეთებელი ხომ არ არის, რადგან დღეს თუ ვინმეს საქართველოში არეულობა აწყობს, რუსეთია?***

– ისეთ ინფორმაციებზე ხელი არ მიმინვდება, მტკიცებით ფორმაში ვისაუბრო, მაგრამ საქართველოში არეულობა, დესტაბილიზაცია, ერთადერთ ქვეყანას აწყობს, რომელიც ჩვენი მეზობელია და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული. ამიტომ ჩვენს ხელისუფლებას ასი თვალი და ასი ყური უნდა, რადგან ღმერთმა არ ქნას, არავინ იცის, სიტუაცია საიდან დაიძაბება. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ სიტუაცია კონტროლქვეშ იყოს.

გვებრძვიან, გვლანძლავენ. ამ დროს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიუსელშია და სერიოზულ შეხვედრებს მართავს. ამაზე ვინმე რამეს ამბობს? ხელისუფლება მუშაობს, მაგრამ მეორე მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ არაფერს აკეთებსო.

პრეზიდენტი ზურაბიშვილი თავისი გადაწყვეტილებით, ბალტიის ქვეყნებშია და ბალტიის ქვეყნების ლიდერებს უხსნის, რომ საქართველო სტატუსის ღირსია. თუმცა, რა ტექსტით ეუბნება, არ ვიცი.

თუ ზურაბიშვილი ეუბნება, ხალხი იმსახურებს, ხელისუფლება კი არაო, მაშინ ეს ტუტუცობაა. თუ ხალხი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის ღირსია, ხელისუფლება ამ ხალხის უმრავლესობის მიერ არის არჩეული, ანუ თუ ხალხი იმსახურებს, მისი უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლებაც ღირსია.

თვითონ პრეზიდენტიც ამ ხალხის უმრავლესობის მიერ არის არჩეული. თუ ამ ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი ევროპაში დადის და ამბობს, რომ ხალხი ღირსია ევროკავშირის სტატუსი მიიღოსო, კი ბატონო, ილაპარაკოს, მაგრამ სჯობდა, ვიზიტები კონსტიტუციის დაცვითა და ხელისუფლების ნებართვით განეხორციელებინა.

# მოკლულია 21 წლის ბიჭი — საზარელი ამბავი გურიიდან

გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში ახალგაზრდა ბიჭი მოკლეს. შემთხვევა ცოტა ხნის წინ მოხდა.

მოკლული ბიჭი, სავარაუდოდ, 21 წლის იყო. სავარაუდო დამნაშავე კი ადგილობრივია, რომელმაც 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულება 3 თვის წინ დატოვა. ის სასჯელს პოლიციელზე თავდასხმისთვის იხდიდა.

შსს-მ გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# ხატია დეკანოიძე: „შსს-მ ქვეყანაში ისევ შემოუშვა რუსეთის მოქალაქე, რომელზეც შემაკავებელი ორდერი გამოწერა ჩემზე ადევნებისთვის...“



– შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვეყანაში ისევ შემოუშვა რუსეთის მოქალაქე, რომელზეც ერთი თვის წინ შემაკავებელი ორდერი გამოწერა ჩემზე ადევნებისთვის. ისევ პარლამენტთან დამხვდა, – წერს დეკანოიძე სოციალურ ქსელში.

# „რუსეთი სამხრეთ კავკასიიდან მიდის“

მარიამ მჭედლიშვილი

ბალტიის ქვეყნებში ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს ევროინტეგრაციის მთავარი საკითხის გარდა, სამხრეთ კავკასიაში შექმნილ რეალობასაც შეეხო. – სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესები აჩვენებს, რომ სომხეთი რუსეთზე იმედს აღარ ამყარებს. ამიტომ მათთვის (სომხეთის მოქალაქეებისთვის) ერთადერთი პერსპექტივაა მიმართონ დასავლეთს, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ესტონელ კოლეგასთან შეხვედრაზე.

ყარაბაღის ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ არაერთი ანალიტიკოსი საუბრობს რუსეთის გავლენის უკიდურესად შესუსტებაზე მთელ სამხრეთ კავკასიაში.

რეგიონში შექმნილ რეალობას ესტონურ მედიასთან აფასებს აზერბაიჯანის ყოფილი ელჩი ესტონეთში ტოფიკ ზულფუგაროვი. აზერბაიჯანელი დიპლომატის დასკვნები რუსეთის როლის დაკნინებაზე რეგიონში საქართველოსთვისაც საყურადღებოა. მისი ზოგიერთი გამონათქვამი სუბიექტურ ხასიათს ატარებს. დიპლომატი არ ახსენებს დასავლეთს, რომელსაც ამ რეგიონზეც დიდი გავლენა აქვს და გააქტიურებულ ჩინეთს, რომელიც არ მალავს ინტერესს სამხრეთ კავკასიის მიმართ.

***– რა ბედი ელით მთიანი ყარაბაღის სომხებს?***

– ამ მოსახლეობის დაყოფა პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება. პირველი ჯგუფი იქაური საოკუპაციო რეჟიმის ნარჩენებია, მეორე – ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს ამ ტერიტორიის დატოვება, მესამე – ისინი, ვინც მზად არიან რეინტეგრაციისთვის.



***– საუბრობთ იმ ადამიანების რეინტეგრაციაზე, რომლებიც შარშანდელი დეკემბრიდან აზერბაიჯანის მიერ ორგანიზებული ფაქტობრივი ბლოკადის პირობებში ცხოვრობდნენ?***

– ეს ადგილობრივი (ყარაბაღის) ადმინისტრაციის ბრალი იყო. ადმინისტრაციამ განახორციელა ოპერაცია, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ თვითბლოკადა.

ამ ხალხმა მოითხოვა იმ დერეფნის რეჟიმის აღდგენა, რომელიც ამ ტერიტორიას სომხეთთან აკავშირებდა. ამასთან, ეს დერეფანი რუსეთის სამშვიდობო ძალებს უნდა გაეკონტროლებინათ. ჩვენ უარი ვთქვით, ვინაიდან სასაზღვრო-საბაჟო ფუნქციები უნდა შეასრულონ აზერბაიჯანის შესაბამისმა სტრუქტურებმა. დავთანხმდით ტვირთების გატარებას გარკვეულ მარშრუტზე. ამ გზაზე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა ბეტონის ბლოკები დააწყვეს. ასე რომ, ეს ბლოკადა კი არა, თვითბლოკადა იყო.

ეს საკითხი განიხილებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. აზერბაიჯანმა პირობა დადო, რომ ამ გზაზე ნებისმიერ ტვირთს გაატარებს. ამ გადაწყვეტილებას სამშვიდობოებიც დაეთანხმნენ.

***– ამბობენ, რომ იმ ადამიანებს (ყარაბაღიდან), რომლებსაც სომხეთში საცხოვრებლად გადასვლა უნდათ, ეს ძალიან გაუჭირდებათ. მართალია, რომ აზერბაიჯანი ყარაბაღის ახლანდელი მოსახლეობის ფილტრაციას აპირებს?***

– იმ ადამიანებს, რომლებიც არ არიან გარეული სამხედრო დანაშაულებში, ასევე დანაშაულში კაცობრიობის წინააღმდეგ, შესაძლებლობა აქვთ დატოვონ აზერბაიჯანის ტერიტორია. დანარჩენებს მიენიჭებათ აზერბაიჯანის მოქალაქეობა. დამნაშავეები პასუხს აგებენ.

***– აზერბაიჯანი უკვე დევნის პირებს, რომლებსაც ადანაშაულებენ თქვენ მიერ აღწერილ დანაშაულებში. ზაფხულში დააკავეს 68 წლის ვაგიფ ხაჩატრიანი. აზერბაიჯანი ყარაბაღის მთელი მამაკაცების დაპატიმრებას გეგმავს?***

– ეს ადამიანი ასაკოვანია, მაგრამ ის მონაწილეობდა ხოჯალის მოვლენებში, მოგვიანებით ის აწამებდა სამხედრო ტყვეებს და რამდენიმე ტყვე მოკლა. ეს კაცი სასამართლოს წინაშე წარდგება.

***– როგორ აფასებთ რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის როლს, რომელიც 2020 წლის ომის შემდეგ განლაგდა მთიან ყარაბაღში? ამ კონტინგენტს არანაირი კონკრეტული მანდატი არ ჰქონია და მაინც თქვენი „კონტრტერორისტული ოპერაცია“ ნაკლებად შეესაბამება სამშვიდობოების ყოფნას რეგიონში?***

– აზერბაიჯანი მოქმედებდა საერთაშორისო სამართლის ნორმებით. სამშვიდობოები – ეს ციდან ჩამოვარდნილი რაღაც ძალაა, რომელსაც ზებუნებრივი უფლებამოსილებები აქვს.

2020 წლის 10 ნოემბრის დოკუმენტში მითითებულია, რომ სამშვიდობო ძალები განთავსებული არიან 2025 წლის ნოემბრამდე. ამ ვადის გასვლამდე ნახევარი წლით ადრე, აზერბაიჯანმა განაცხადი უნდა გააკეთოს მათი მისიის გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე. აზერბაიჯანის მეთაურმა არაერთხელ განაცხადა, რომ მანდატი არ გაგრძელდება.

აზერბაიჯანი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სამშვიდობოებს არ დარჩეთ დარჩენის მიზეზი, ანუ ფუნქცია. დემილიტარიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ რეინტეგრაციის პროცესი წარიმართოს სამართლებრივ სივრცეში. უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, მით უმეტეს, სხვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი, მშვიდობას ხელს ვერ შეუწყობს.

***– რუსეთი ყოველთვის იყო სომხეთის მოკავშირე. ახლა, ამ ქვეყნებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, ურთიერთობა გაცივდა. მოსკოვი ერევანს დასავლეთისკენ წასვლაში სდებს ბრალს. ამ სიტუაციას როგორ უყურებენ აზერბაიჯანში?***

– სომხეთი რუსეთს სამხრეთ კავკასიაში ფორპოსტად სჭირდებოდა. ასე იყო რუსეთის იმპერიის დროიდან. ამჟამად, ყველა ნიშნის მიხედვით, რუსეთი არ არის დაინტერესებული იმპერიული პროექტებით. ამიტომაც რუსეთს სომხეთის შენახვა არ სჭირდება.

სომხეთი კი არ ეყრება რუსეთს, თვითონ რუსეთი მიდის სამხრეთ კავკასიიდან თავისი პროექტებით. ისეთებით, როგორიცაა სამხედრო ბაზები და სხვა. ახლა რუსეთს აინტერესებს სხვადასხვა ერთობლივი პროექტი თურქეთთან.

***– უცნაურია იმის გაგონება, რომ რუსეთი აღარაა დაინტერესებული იმპერიული პროექტებით.***

– აქ (რეგიონში) რუსეთის გავლენის ნაცვლად მოვა აზერბაიჯან-თურქეთის ტანდემი.

რუსეთს საშუალება ექნება დააკმაყოფილოს საკუთარი ინტერესები არა სამხედრო-პოლიტიკური, არამედ, ეკონომიკური და ჰუმანიტარული საშუალებებით. რუსეთისთვის უფრო იოლია უსაფრთხოების საკითხებზე მოელაპარაკოს თურქეთს, ვიდრე შეინახოს მთელი სომხეთი თავისი ბაზებით.

## მოსახლეობის 62% სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს ეწინააღმდეგება



Edison Research-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობის 62% საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს ეწინააღმდეგება.

კითხვაზე, „რამდენად ემხრობით ან ეწინააღმდეგებით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იმპიჩმენტს“, პასუხები ასე ნაწილდება:

ვეწინააღმდეგები – 62%;

ვემხრობი – 38%:

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია ფორმულას დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

კვლევის ფარგლებში, პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, ქვეყნის მასშტაბით შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 1.500 საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის ადამიანი.

ცდომილება არის +/– 3%, 95%-იანი სანდოობის დონისთვის. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2023 წლის 7 სექტემბრიდან 24 სექტემბრის პერიოდში.

## მოსახლეობის 58% ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს




Edison Research-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებით, მოსახლეობის 58% ფიქრობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს. 42% კი ფიქრობს, რომ ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი არ უნდა შეიწყალოს.

აღსანიშნავია, რომ ივნისში ჩატარებული Edison Research-ის კვლევის შედეგებით, მოსახლეობით 57% ფიქრობდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა მიხეილ სააკაშვილი უნდა შეიწყალოს. 43% კი ფიქრობდა, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილი არ უნდა შეიწყალოს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ტელეკომპანია ფორმულას დაკვეთით ავტორიტეტულმა საერთაშორისო კვლევითმა კომპანიამ Edison Research-მა ჩაატარა.

კვლევის ფარგლებში, პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, ქვეყნის მასშტაბით შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები 1500 საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის ადამიანი.

დასაწყისი მე-2 გვერდზე

## ირაკლი ღარიბაშვილი: „სალომე ზურაბიშვილს არ ვენდობით“

მანამდე არ მქონია საუბარი და არ ვთვლი საჭიროდ, ამ თემაზე ღიად მესაუბრა, უბრალოდ, ეს იმდენად პრივატული და პირადი საკითხია, მე არასოდეს, ხაზგასმით აღვნიშნავ, მე არასოდეს მისარგებლია ბიუჯეტით და არ დამიფინანსებია ჩემი პირადი ან ჩემი ოჯახის, იქნება ეს მგზავრობა თუ სხვა, არც ერთი თეთრი არ დახარჯულა ბიუჯეტიდან, არც ჩემი და არც ჩემი ოჯახის მგზავრობაში, განსხვავებით თქვენი ბელადი სააკაშვილისგან. ახლა შეგახსენებთ მთავარს, მე შეგნებულად გავაკეთე, მიზანმიმართულად გავაკეთე ეს, მიზანმიმართულად გადავახდევინე ოჯახს იმის საჩვენებლად, რომ კიდევ ერთხელ წარმომეჩინა კონტრასტი და განსხვავება ჩვენი ხელწერის, რომ ჩვენ არასოდეს ბიუჯეტს არ ვიყენებთ, როგორც პირადი ოჯახის ბიუჯეტს და მეჩვენებინა მეორე უკიდურესობა, რაც იყო 10 წლის წინ გამეფებული აქ, როცა საკუთარი პირადი მიზნებისთვის მილიონობით ლარს ხარჯავდა სააკაშვილი და მისი კრიმინალური ბანდა.

მე მყავს, მადლობა ღმერთს, შეძლებული ოჯახი, მე არასოდეს არ ვიყავი გაჭირვებული, მას შემდეგ, რაც მე დავამთავრე უნივერსიტეტი და პოლიტიკამდეც, მე ვმუშაობდი ამ ქვეყნის უმდიდრეს ადამიანთან და ვმართავდი ყველაზე მდიდარ ფონდს. ჩემი ოჯახი არასოდეს ყოფილა გაჭირვებული, ეს არ არის დამალული და ეს არ არის სიახლე, ამ თემაზე მეუხერხულება საუბარი, მაგრამ ვინაიდან მისვამთ კითხვას, გპასუხობთ. თქვენ თუ ობიექტურები ბრძანდებით, უნდა გაგერკვიათ, საიდან გადაიხადეს, ამ ოჯახმა საიდან გადაიხადა. ჩემს ოჯახს აქვს შესაბამისი დადასტურებული შემოსავლებიც, ფინანსური სახსრებიც, ყველაფერი არის გამჭვირვალე აბსოლუტურად, თუ რაიმე კითხვები გაქვთ, მე ყოველ წელს ვავსებ დეკლარაციას, დაელოდეთ მომავალ დეკლარაციებს, ამ წელსაც შევავსებ, კიდე გაისად შევავსებ დეკლარაციას, ასე რომ, არავითარი დაფარული არ მაქვს. მთავარი, რაც გამოვლინდა ახლა, წლების განმავლობაში იცით, რომ ოპოზიცია ამბობდა, რომ სააკაშვილი გასამართლებული იყო რაღაც მოგონილი პიჯაკების საქმით, ერთ-ერთი მთავარი საქმე, რაც ამ საქმეში დევს და მთავარი მტკიცებულებაა, რომ მათ შორის თვითმფრინავის ხარჯები, პირადი ხარჯები, პირადი ვიზიტები დაფინანსებული იყო ბიუჯეტიდან. ახლა მთავარი თემა და სკანდალი რაც გამოვლინდა და გახდა საჯარო, რომ ჯარს აფინანსებინებდა საკუთარ გართობას და დროს ტარებას, 14 მილიონი ლარი არის არამიზნობრივად გაფლანგული თავდაცვის სამინისტროდან სააკაშვილის პირადი ვოიაჟებისთვის. მე გეკითხებით ახლა, თქვენ თუ ხართ ობიექტური ადამიანი, რა უნდოდა მიხეილ სააკაშვილს პაბლო ესკობარის საფლავზე, რატომ ჩავიდა კოლუმბიაში. სამარცხვინო პრეზიდენტი იყო. 14 მილიონი ლარი, ამას გარდა, 2 თვითმფრინავი შეაძენინა თავდაცვის სამინისტროს.

ეს ყველაფერი არის საჯარო ინფორმაცია. თქვენ ამაზე უნდა გააკეთოთ აქცენტი, – განაცხადა პრემიერმა.

• • •

### „დიდი ოპტიმიზმით ველოდებით ამერიკის ახალი ელჩის ჩამობრძანებას“

– ჯეიკ სალივანთან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საუბარი მქონდა და ჩვენ შევეხეთ პრაქტიკულად ყველა საკითხს, რომელიც ეხება ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას, სტრატეგიულ პარტნიორობას და თანამშრომლობას. ჩვენ თითქმის ყველა საკითხზე გვქონდა საუბარი, მსჯელობა ბოლო პერიოდში, ასეთი მაღალი დონის საუბრები და შეხვედრები, სამწუხაროდ, აღარ გამართულა.

დიდი ოპტიმიზმით ველოდებით საქართველოში ამერიკის ახალი ელჩის ჩამობრძანებას. იმედი მაქვს, ქალბატონ ელჩთან პირველივე დღეებიდან ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდება, – განაცხადა პრემიერმა.

• • •

### „კონსტიტუციის დარღვევაზე რეაგირება არის ვალდებულება“

მთავრობის მეთაურმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხიც შეაფასა.

რაც შეეხება ქალბატონი პრეზიდენტის შეუთანხმებელ ვოიაჟს საერთოდ ევროპაში. მე ვფიქრობ, ეს მეტად სამწუხარო ფაქტია. თქვენ თუ გაიხსენებთ, შარშან და უფრო მანამდეც, არც ერთი შემთხვევა არ არსებობს, ვერავინ ვერ გაიხსენებს, რომ ჩვენ მას უარი ვუთხარით ასეთი ტიპის ვიზიტებზე. უფრო მეტიც, მე მას, პირიქით, მხარს ვუჭერდი ყოველთვის და არასოდეს არ შემიზღუდავს მისი გადაადგილება. მაგრამ მე შეგახსენებთ, რომ ქალბატონ პრეზიდენტს ძალიან მძიმე განცხადებები აქვს გაკეთებული, მას აქვს ნათქვამი საჯაროდ, რომ ჩვენი მთავრობა თურმე და ჩვენ ხელისუფლება არ ასრულებს ამ ვალდებულებებს, ამ 12 რეკომენდაციას. მას აქვს ნათქვამი ისიც, რომ არ ვიმსახურებთ სტატუსს. აქვს რაღაც ბუნდოვანი განცხადება გაკეთებული, რომ თითქოს ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არის ბუნდოვანი, თუ მთავრობის პოზიცია არის ბუნდოვანი. ამ დროს, როცა ყველაფერი ნათელი და ცხადია. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენს შორის ის მინიმალური ნდობა, რომელიც შენარჩუნებული იყო, ისიც დაიკარგა და მე უბრალოდ ჩემი ხელმოწერით ვერ გავაგრძელებინებდი ქვეყნის წინააღმდეგ საბოტაჟს. ამაში თანამონაწილე ვერ გავხდებოდი, თუ ადამიანი ქვეყნის შიგნით აცხადებს ასეთ მიუღებელ რამეს და ამის შემდეგ მოგვმართავს, რომ წავიდეს ევროპაში და რა უნდა ილაპარაკოს, კაცმა არ იცის.

ჩვენ ნდობა აღარ გვაქვს უბრალოდ, იქ რომ ჩავიდოდა, არ ვიცი, რომელიმე ქვეყანაში ჩავიდოდა ჩვენი მანდატით, ჩვენგან ნებადართული რას ილაპარაკებდა, ჩვენთვის ეს აბსოლუტურად ბუნდოვანი იქნებოდა და მიუღებელი. ამით დასაბუთდა ჩვენი უარი. ის პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, – განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, კონსტიტუციის დარღვევაზე რეაგირება არის ვალდებულება.

– როცა ადამიანი არღვევს კონსტიტუციას და დაარღვევს კანონს, ამას პატარა ბავშვიც მიხვდება, რომ ნებისმიერ კანონდარღვევაზე, რაღაცის გაფუჭებაზე, მით უმეტეს, კონსტიტუციის დარღვევაზე, რეაგირება არის ვალდებულება. ანუ ვალდებული, იძულებული ვიყავით ჩვენ, ჩვენი გუნდი, რომ მოგვეხდინა რეაგირება, ფორმალური რეაგირება. იმიტომ, რომ ადამიანმა დემონსტრაციულად დაარღვია კონსტიტუცია.

რაც შეეხება სტატუსზე ასახვას, იმპიჩმენტზე ჩვენ ვთქვით ღიად, რომ ეს არის ფორმალური პროცედურა. იცით, რომ ჩვენ არ გვაქვს საკმარისი ხმები, მაგრამ ჩვენ ნდობა დაკარგული გვაქვს ამ ადამიანის მიმართ. გაუგებარია მისი ეს ქმედებები.

საფრანგეთის დარწმუნებაც კი ვერ შეძლო მან შარშან, მაგალითად, გახსოვთ, რომ ერთადერთი, ვინც ჩვენი ქვეყნის მიმართ დასვა კითხვა გეოგრაფიის კონტექსტში, ჭრილში, იყო საფრანგეთის პრეზიდენტი. მანამდე გაგზავნილი მყავდა ქალბატონი სალომე და ამის შემდეგ მოხდა ძალიან სკეპტიკური განცხადების გაკეთება.

ადამიანმა საკუთარი, მეორე სამშობლოს თუ პირველი სამშობლოს, როგორც უნდა ისე გადაალაგოს, დარწმუნება ვერ შეძლო იმაში, რომ გეოგრაფია აქ აბსოლუტურად უადგილოა და ჩვენ ვართ ევროპული ოჯახის ბუნებრივი წევრი და ასეთ ვითარებაში, მით უმეტეს, ასეთი რთული გეოპოლიტიკის დროს გეოგრაფიაზე მინიშნება არის აბსოლუტურად გაუმართლებელი. სალომე ზურაბიშვილმა ეს ვერ მოახერხა, რომ დაერწმუნებინა, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

• • •

### „ეს ადამიანი გამოიყენეს“

– გამოიყენეს ეს ახალგაზრდა ანარქისტი, ასროლინეს მოლოტოვის კოქტეილი პოლიციელზე. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა ადამიანმა, მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის, ვინ არის ეს ადამიანი, სცადა პოლიციელის ცოცხლად დაწვა. ჩვენ ვიქნებით დაუნდობელი და უკომპრომისო, ყველა ადამიანის მიმართ, ერთი კი არა, ათასი რომ იყოს, ათასივე წავა ციხეში, – ასე უპასუხა პრემიერმა ლაზარე გრიგორიადისის შესახებ კითხვას.

# ელენე ახვლედიანს იოსებ გრიშაშვილიც ეტრფოდა

**ახლახან, პარიზში გამოფენილმა ელენე ახვლედიანის ფერწერულმა ტილოებმა პრეზიდენტი სარკოზი მოხიბლა. თავის დროზე კი სწორედ პარიზში დაახლოვდნენ ელენე ახვლედიანი და პაბლო პიკასო. გთავაზობთ ინტერვიუს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერ თამილა თევდორაძესთან.**



***– პარიზში გამართულ ელენე ახვლედიანის ნამუშევრების გამოფენას ნიკოლა სარკოზიც მოუხიბლავს.***

– აგვისტოს მოვლენების შემდეგ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში უცხოელები ნაკლებად გვსტუმრობენ, შარშან გაცილებით მეტი ტურისტი გვეწვეოდა ხოლმე. რაც შეეხება საფრანგეთის პრეზიდენტს, მან ქალბატონი ელენეს ნამუშევრები პარიზში საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წლეულს იხილა. ტილოები 27 ივნისიდან 12 ოქტომბრამდე იყო გამოფენილი.

***– ელენე ახვლედიანის მეუღლე ალეკო კაკაბაძე იყო, რომელთანაც მეგობრულ დამოკიდებულებას გაყრის შემდეგაც ინარჩუნებდა.***

– 1922 წელს ელენე ახვლედიანი სწავლის გასაგრძელებლად იტალიასა და საფრანგეთში გაემგზავრა, მაგრამ წასვლამდე იგი ცოლად გაჰყვა აგრონომ ალეკო კაკაბაძეს, რომელიც მასთან ერთად გაემგზავრა იტალიაში სამსახურეობრივი დავალებით. ჯვარი ქვაშვეთის ეკლესიაში დაიწერეს, ქორწილიც პომპეზური ჰქონდათ, წყვილი რუსთაველზე ეტლით დასეირნობდა. მათ ქორწილს იოსებ გრიშაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც მწარე ლექსები მიუძღვნა ახალჯვარდაწერილებს. თურმე თავად ჰყვარებია ელენე ახვლედიანი, რომელიც არ გაჰყვა გრიშაშვილს. მოგვიანებით ელენეს მეგობრები ამბობდნენ, გრიშაშვილმა დათარსაო ელენე. მართლაც, ელენე ახვლედიანი და ალეკო კაკაბაძე ერთმანეთს მალე დაშორდნენ, ეს იტალიაში მოხდა, სამშობლოში უკვე ცალ-ცალკე დაბრუნდნენ. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ მეგობრობდნენ. მეორედ აღარ გათხოვილა. სხვათა შორის, ალეკო კაკაბაძისგან ელენე ფეხმძიმედ იყო და რომ არა ავტოკურსებზე სიარული, უშვილოდ აღარ გადაეგებოდა.

პარიზში ყოფნისას მან მძღოლის კურსებზე სიარული დაიწყო, საამისოდ მანქანა დაიქირავა, მაგრამ მანქანით ავარიაში მოჰყვა, მაღაზიის ვიტრინას დაეჯახა და მუცელი მოეშალა. მოგვიანებით უკვე პარიზში ცხოვრობდა და სწავლობდა, აწყობდა გამოფენებს არამარტო საფრანგეთში, არამედ ამერიკაში, შვეციაში, შვეიცარიაში. 1927 წელს კი საქართველოში დაბრუნდა და სალონურ ცხოვრებას მისდევდა. მის სახლში საღამოები იმართებოდა.

***– იგი როიალზეც სიამოვნებით უკრავდა. მუსიკის გავლენა რამდენად ეხმარებოდა ნახატების შექმნაში?***

– როცა მის სახლ-მუზეუმში მუსიკა ჟღერს და მის ნამუშევრებს ვუცქერთ, თითქოს ეს ჰანგები მისი ნამუშევრებიდან მოდის. განსაკუთრებით კლასიკის შესრულება უყვარდა და გიტარაზეც უკრავდა. მისგან არანაკლები მუსიკოსი გამოვიდოდა. მის მშობლებს სურდათ, ელენესთვის მუსიკა ესწავლებინათ, 11 წლის ბავშვი თელავიდან თბილისში გადმოიყვანეს, მაგრამ სულ სხვა პროფესია აირჩია. ელენეს მხატვრული ნიჭი თბილისის მეორე ქალთა გიმნაზიაში სწავლებისას შენიშნა გამოცდილმა პედაგოგმა ნიკოლოზ სკლიფოსოვსკიმ. მან და ფოგელმა დააინტერესეს მომავალი მხატვარი ხელოვნებით და ხატვის სიყვარული ჩაუნერგეს.

***– რატომ ხატავდა ელენე ახვლედიანი პარიზში ქართულ პეიზაჟებს?***

– ის საქართველოზე იყო შეყვარებული. მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი. იმდენად უყვარდა ძველი ქართული ყოფა, რომ თავის სახლში, თბილისში, ქართული დედაბოძის ელემენტი შემოიტანა და ხისგან დედაბოძის რამდენიმე ვარიანტი გააკეთებინა. პარიზში ყოფნის დროსაც კი, როცა ამ ქალაქის ბუნებას ხატავდა, მხედველობითი მეხსიერებით, მშობლიური საქართველოს პეიზაჟებს ქმნიდა.

***– როგორც ვიცი, ელენე ახვლედიანი ძველი სახლების ხატვას ეშურებოდა, კოლეგებსაც ურჩევდა, სანამ დროა, ხატეთ ძველი თბილისის ხედები, რადგან მათი დანგრევის შემდეგ თქვენს სურათებზე გაცოცხლდებიანო.***

– ის ადგილები, რომლებიც ქალბატონმა ელენემ დახატა, დღეს აღარც არის. ჩვენი ქალაქის ისტორია შემორჩა ტილოზე „ნე უიჟაი, გოლუბჩიკ მოი", რომელზეც დუქანია გამოსახული. ეს დუქანი იმ ადგილას იდგა, სადაც დღეს გმირთა მოედანზე 11-სართულიანი სახლი დგას. ეს უკვე ისტორიაა. ასევე დახატული აქვს სანაპიროზე, „პესკებზე" მდგარი ძველი სახლი. არქიტექტორი შოთა ყავლაშვილი, როცა თბილისობის დღესასწაულისთვის ალადგენდა თბილისის რომელიმე ძველ უბანს, ელენეს ნამუშევრებით ხელმძღვანელობდა.

***– პაბლო პიკასოსაც უწნევია მისი კახური პირდაპირობა.***

– ქალბატონი ელენე წარმოშობით ლეჩხუმელი იყო, თუმცა, თელავში გახლდათ დაბადებული. მამამისი, დიმიტრი ახვლედიანი, დახვეწილი ინტელიგენტი, სამხედრო ექიმი გახლდათ და თავისი საქმის პროფესიონალად ითვლებოდა, დედამისი – ელისაბედ ერისთავი – განათლებული, ლამაზი ქალი იყო. დიმიტრი ახვლედიანს თელავთან ახლოს, სოფელ კურდღელაურში, უფასო კლინიკა ჰქონდა, იგი მეცენატი ადამიანი იყო. ელენე ახვლედიანსაც უყვარდა სხვების, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრების დახმარება. უამრავი ნამუშევარი გაუჩუქებია, თუმცა პაბლო პიკასოსთან სხვაგვარად მოქცეულა. პარიზის წლები და ელენე ახვლედიანის სტუდენტური ხანა განუყრელია ერთმანეთისგან. მისი პირველი პერსონალური გამოფენაც 1924 წელს პარიზში მოეწყო. პაბლო პიკასო გულგრილი არ დარჩენილა მისი პიროვნების, უშუალობის და შემოქმედების მიმართ, მოსწონებია მისი „კახეთის ზამთარი", რომლის შეძენაც განუზრახავს. ქალბატონი ელენე კახურ პირდაპირობას არ ღალატობდა და პიკასოსთვის საკმაოდ მკვახედ მიუგია: თუ თქვენ მოგწონთ, მეც მომწონს და არ გავყიდიო. დიდი ადამიანები იოლად უგებენ ერთმანეთს, პიკასოსაც მოსწონებია ქართველი ხელოვანის უშუალობა, დამეგობრდნენ კიდეც, რისი დასტურიცაა პიკასოს მიერ ქალბატონი ელენესთვის ნაჩუქარი საკუთარი ავტოლითოგრაფია.

***– ელენე ახვლედიანის ნამუშევრებს უცნაური ბედი დაჰყვა – ზოგი მათგანი ჯერ მოიპარეს, მერე დააბრუნეს, მაგრამ დღემდე არ ჩანს პიკასოს ავტოლითოგრაფია.***

– ქალბატონი ელენეს დაკარგული პარიზული პერიოდის 7 ნამუშევარი – 3 ფერწერული ტილო და 4 გრაფიკული ნამუშევარი (აქედან ერთი ლადო გუდიაშვილის ნაჩუქარი) დაუბრუნდა საკუთარ კერას და წლების შემდეგ სახლ-მუზეუმის კართან აყუდებული იპოვეს თანამშრომლებმა. ეს ნამუშევრები ომისა და ნგრევის პერიოდში, 1993 წელს მოიპარეს და მოგვიანებით ამ სახით დაგვიბრუნეს.

***– როგორც ვიცი, ძალიან უბრალოდ ცხოვრობდა.***

– დიახ. არაორდინარული პიროვნება იყო. შეეძლო, საძილე გარნიტური შეეძინა, მაგრამ არ სურდა და ძველებურ ტახტს ამჯობინებდა. არც ფუფუნების საგნები იზიდავდა, მისი ფუფუნება ფერწერული ტილოები გახლდათ. ერთ-ერთი მდიდრული საგანი, როიალი ჰქონდა, რადგან მუსიკოსების, მხატვრების წრეში ტრიალებდა, სალონად ქცეულ მის სახლს სტუმრობდნენ რიხტერი, ნეიჰაუზი, გოგოლევა, ტოვსტონოგოვი, ვერიკო ანჯაფარიძე, ლადო გუდიაშვილი, ნატო ვაჩნაძე. იგი ქართულ და დაღესტნურ ჭურჭელს აგროვებდა და მის სახლ-მუზეუმში მე-6-18 საუკუნეებში გაკეთებული ჭურჭელია წარმოდგენილი. იტალიაში სწავლის დროს ისე უჭირდა, ნატურასთან პედაგოგის გარეშე მუშაობდა, რადგან პედაგოგის დასაქირავებელი ფული არ ჰქონდა.

***– როგორ აღესრულა?***

– საოცარი გახლდათ მისი გარდაცვალება, უეცარი და მოულოდნელი. 77 წლის ასაკში დასრულდა მისი სიცოცხლე. 1975 წლის 28 დეკემბერს, როცა მისი მეგობარი მხატვარი ქალების ნამუშევრების გამოფენის დახურვაზე ფინანსთა სამინისტროს შენობაში სიტყვა უნდა წარმოეთქვა, ტვინში სისხლი ჩაექცა და ორ დღეში, 30 დეკემბერს, აღესრულა. ძველი თბილისის ციკლისთვის ელენე ახვლედიანს რუსთაველის პრემიის ლაურეატობა მიანიჭეს.

***– თავისი სახლი ქართველ ერს უსახსოვრა?***

– ფერწერული ტილოების გარდა, მშობელ ერს თავისი სახლი უსახსოვრა, რომლის სახლ-მუზეუმად გადაქცევაში დიდი როლი მიუძღვის გოგი გეგეჭკორის მეუღლეს, თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძეს. ცნობილი ფოტოგრაფის, საძკოვის, მიერ გადაღებულმა ელენე ახვლედიანის შესანიშნავმა ფოტომ პარიზის ფოტოგამოფენაზე გრანპრი დაიმსახურა.

მედიცინა

## ნაღვლმდენი გზებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს:

- აიღეთ 1,2 კგ ლეღვი, 0,5 კგ ლიმონი, 6 სუფრის კოვზი თაფლი. ლეღვი და ლიმონი (კანით, მაგრამ უკურკოდ) გაატარეთ ხორცსაკეპში, დაუმატეთ თაფლი, ყველაფერი კარგად აურიეთ, მიიღეთ ოთხი სუფრის კოვზი ჭამამდე.
- 10 სადილის კოვზი დაქუცმაცებული შავნაყოფიანი კოწახური მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით ერთი ლიტრი ცივი წყალი და ადუღეთ წყლის აბაზანაზე 20 წუთი. შემდეგ გაწურეთ. მიიღება გემრიელი მომჟავო სასმელი. დალიეთ თითო ჭიქა დილით და საღამოს ერთი თვის განმავლობაში.
- რეკომენდებულია შემდეგი ნაკრები: ლავანდა (მინის ზედა ნაწილი), შოთხვი (ყვავილები), მამულა (მიწისზედა ნაწილი) – 10-10 გ თითოეული, კალენდულა (მიწისზედა ნაწილი) – 20 გრამი, გვირილა (კალათები) – 30 გრამი.
- 15 გრამი წვრილად დაკუწულ ნარევს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. დააყოვნეთ 2-3 საათი. გაწურეთ, თბილი ხსნარი შეიშხაპუნეთ კვირაში ორჯერ ძილის წინ.

# კენჭოვანი დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

- სამკურნალო ბალახების ნაკრებში შედის: კალენდულა (მიწისზედა ნაწილი), კამა (თესლი), თეთრი არყის ხე (ფოთლები), ბერულა (ბალახი), ღვია (ნაყოფი – 10-10 თითოეული), გვირილა (ყვავილები), ტყის მარწყვი (ნაყოფი), თეთრი ვარდის ფურცლები (20-20 გრამი თითოეული), მინდვრის შვიტა (ყლორტები), სიმინდის თმა, ყავისფერი ასკილი (დანაყილი ნაყოფი), ბაბუაწვერა (ფესვი), 30-30 გრამი თითოეული, ნეგო (ფესვი) – 40 გრამი.

5-6 გრამი ნარევი დააყენეთ 500 მლ მდუღარეში. მიიღეთ 150 მლ დღეში სამჯერ ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

- დალიეთ ნახევარი ჭიქა ლიმონის წვენი, რომელშიც გახსნით 1/2 ჩაის კოვზ საჭმელ სოდას.
- ნახევარ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ კოწახურის ქერქს ან ფესვს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. მიღებული ნაყენი მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში.
- აიღეთ 10 გრამი (3 სუფრის კოვზი) ნეგოს დაქუცმაცებული ყვავილი, დაასხით 200 მლ (1 ჩაის კოვზი) ოთახის ტემპერატურის წყალი, დაახურეთ თავსახური და გააცხელეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 30 წუთის განმავლობაში, თან ხშირად ურიეთ. გადმოდგით, გააციეთ, გაწურეთ, დაუმატეთ ანადუღარი წყალი, საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2 დღე-ღამისა, მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ 10-15 წუთით ადრე.



საზოგადოება

# თბილისში აკრძალული წიგნების კვირეული გაიმართება

1-7 ოქტომბერს თბილისში აკრძალული წიგნების კვირეული ჩატარდება.




„დაე, იკითხოს თავისუფლებამ – კულტურა ცოცხალი, დამოუკიდებელი და პოლიტიკურია" – ასეთია კვირეულის ლოზუნგი, რომელსაც „მწერალთა ბარი" უმასპინძლებს.

კვირეული პირველ ოქტომბერს ოფიციალურად გაიხსნება და საგანგებოდ ამ თარიღთან დაკავშირებით, მწერლების ბარში აკრძალული წიგნების თარო დაიდებს ბინას, რომელიც საზეიმოდ გაიხსნება. თაროზე წარმოდგენილი იქნება გამომცემლობა „ინტელექტის" სერიის „აკრძალული წიგნების თარო" ფარგლებში გამოცემული წიგნები: შირინ ებადის „ოქროს გალია", ჩიმამანდა ნგოზი ადიჩის „ყვითელი ნახევარმზე", ანა პოლიტკოვსკაიას „პუტინის რუსეთი", გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი", ჯორჯ ორუელის „1984" და „ცხოველების კარ-მიდამო", არტურ კოესტლერის „მზის დაბნელება", ხალიდ ხალიფას „სიკვდილი მძიმე შრომაა", ევრიპიდეს „4 ტრაგედია", ჯონ სტაინბეკის „მრისხანების მტევნები", ქეით ჩოპინის „გამოღვიძება", სადეყ ჰედაიათის „ბრმა ბუ", ჩინუა აჩებეს „ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა ბოლოს", ივლინ ვოს „ბრაიდსჰედში დაბრუნება", ვენედიქტ ეროფეევის „მოსკოვი-პეტუშკი", ნათანიელ ჰოთორნის „ალისფერი დამღა", ნიკოს კაზანძაკისის „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება", ბორის პასტერნაკის „ექიმი ჟივაგო", ანდრეი პლატონოვის „ქვაბული", „ჯანი", „ჩევენგური", გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული", ლაურა ესკიველის „როგორც წყალია შოკოლადისთვის", მაია ენჯელოუს „ვიცი, რად გალობს გალიის ჩიტი", ელის უოკერის „იისფერი" და მარიო ვარგას ლიოსას „ქალაქი და ძაღლები".

ყოველდღე, კვირეულის განმავლობაში, მწერლები, მთარგმნელები, ლიტერატორები წაიკითხავენ ლექციებს აკრძალული წიგნების შესახებ და ყურადღებას გაამახვილებენ დემოკრატიულ ღირებულებებზე. კულტურის სფეროში არსებულ საერთო საპროტესტო ტალღასთან დაკავშირებით ლიტერატურის სფერო, სიმბოლურად, სივრცეს დაუთმობს კულტურის სხვა სფეროების წარმომადგენლებსაც და აკრძალულ ლიტერატურასთან დაკავშირებული ლექციების კვალდაკვალ მომხსენებლები ისაუბრებენ აკრძალული კინოს, მუსიკისა თუ ზოგადად კულტურის სფეროს ცენზურის შესახებ.

„აკრძალული წიგნების კვირეული საქართველოში" გამომცემლობა „ინტელექტისა" და გამომცემლობა „არტანუჯის" თაოსნობით 2018 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ ყოველწლიურად განსხვავებული ფორმატის ღონისძიებებით აღინიშნება. ამ ღონისძიების საქართველოში აღნიშვნის ტრადიციის დამკვიდრების იდეა დაეფუძნა გამომცემლობა „ინტელექტის" საგამომცემლო სერიას „აკრძალული წიგნების თარო".

კვირეულის პროგრამაშია: 1 ოქტომბერი – ღონისძიების გახსნას გაუძღვებიან: გვანცა ჯობავა და პაატა შამუგია. გამომსვლელები კულტურის სხვადასხვა სფეროდან: ივა ფეზუაშვილი, კახა კინწურაშვილი, ნანა ექვთიმიშვილი, მაია პატარიძე, ხათუნა ხაბულიანი. 2 ოქტომბერი – ნატა ლომოური, „რეპრესირებული ქართველი მწერლები", გიორგი არქანია, „დევნილი ისტორია". 3 ოქტომბერი – ეკა კიკნაძე, „ხელოვნების მუზეუმი – ისტორია და თანამედროვეობა". 4 ოქტომბერი – რეზო კიკნაძე (ბენდთან ერთად), „ცენზურა და მუსიკა". 5 ოქტომბერი – ნინო თარხნიშვილი, „აკრძალული ქალი მწერლები". 6 ოქტომბერი – ზვიად კვარაცხელია, „მაინც გვიკრიფეს მიზეზი". 7 ოქტომბერი – ნინო კასრაძე, „საბჭოთა კულისების ლაბირინთები", ლევან ბერძენიშვილი, „წიგნი, როგორც აკრძალული საგანი".

„აკრძალული წიგნების კვირეული" ყოველწლიური საერთაშორისო ღონისძიებაა, რომელიც მხარს უჭერს კითხვის თავისუფლებას. კვირეული 1982 წელს აშშ-ში დაფუძნდა, რაც განაპირობა სკოლებში, წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებში გასაჩივრებული წიგნების რაოდენობის უეცარმა ზრდამ. ღონისძიების ორგანიზატორია ამერიკის ბიბლიოთეკართა ასოციაციის ინტელექტუალური თავისუფლების ოფისი და „აკრძალული წიგნების კვირეულის" კოალიცია.

## „თბილისობაზე" საპატიო თბილისელებს დააჯილდოვებენ

30 სექტემბერსა და პირველ ოქტომბერს დედაქალაქში ტრადიციული დღესასწაული – „თბილისობა 2023" გაიმართება.

ძველი თბილისის უბნებში მოეწყობა გამოფენები, საბავშვო პროგრამები, სხვადასხვა აქტივობები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები.

30 სექტემბერს სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში თბილისობისადმი მიძღვნილი მიღება და თბილისის საპატიო მოქალაქის" დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ჩატარდება.

პირველ ოქტომბერს თბილისობას ტრადიციულად გალაკონცერტი დაასრულებს, რომელშიც ქართული ესტრადის სხვადასხვა თაობის მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას და ღია ცის ქვეშ შეკრებილ მსმენელს უმღერებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რუსეთ-უკრაინის ფრონტი. სად უნდა ველოდოთ გამწვავებას?!

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ფრიად საინტერესო ცვლილებებია. ეს საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფრონტის რიგ უბნებზე უნდა ველოდოთ გამწვავებას. სავარაუდოდ, ეს ძალზე მალე მოხდება.



პირველი უბანი, სადაც მდგომარეობის მკვეთრი გართულებაა მოსალოდნელი, კუპიანსკია. რუსებმა აქ მთელი არმია გადაისროლეს. როგორც ჩანს, მალე კუპიანსკთან მოსალოდნელია რუსების მასირებული შეტევის დაწყება. უკრაინული არმიაც ამას მომზადებულ უნდა შეხვდეს. იგივე შეიძლება ითქვას ლიმანის მიმართულებაზეც.

ფრონტის მეორე უბანი, სადაც გართულებას უნდა ველოდოთ, ბახმუტია. ანდრიევკისა და კლესჩივკის გათავისუფლების შემდეგ უკრაინელთა მდგომარეობა გაუმჯობესდა. ახლა ბრძოლები უკვე კურდიომივკის ცენტრშია. აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინულმა არმიამ ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანა ტრასა ბახმუტი-გორლოვკა. ამით ბახმუტში გამაგრებული რუსული ნაწილების მდგომარეობა გართულდა. ამავე დროს მტერს დარჩა ტოტალური უპირატესობა ავიაციაში. შესაბამისად, რუსეთი შეეცდება, ბახმუტში გამაგრებული ნაწილები ჰაერიდან მოამარაგოს. ეს ბახმუტისათვის უკრაინელების მიერ ალყის შემორტყმას გაართულებს.

მესამე წერტილი, სადაც ვითარება შესაძლოა ასევე გამწვავდეს, ზაპოროჟიეს ოლქია. როგორც ცნობილია, უკრაინელებმა დაიკავეს რობოტინო, გაარღვიეს რუსების დამცავი ხაზი ვერბოვოესთან. ახლა ბრძოლები უკვე ნოვოპროკოპიევკის ტერიტორიაზეა. უკრაინული არმია სულ უფრო უახლოვდება ტოკმაკს. ამ ქალაქს კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ტოკმაკის აღების შემდეგ უკვე მელიტოპოლის გათავისუფლების საკითხი დგება. მელიტოპოლი კი ზაპოროჟიეს ოლქის სიდიდით მეორე ქალაქია.

უკრაინელები ტოკმაკისა და მელიტოპოლის აღებას მთელი ძალით შეეცდებიან. რუსები კი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ეს არ დაუშვან. ამრიგად, ტოკმაკი და მელიტოპოლი, სავარაუდოდ, მორიგი ცხელი წერტილებია.

ყირიმზე დარტყმები უკრაინელებმა უკვე განახორციელეს. კულმინაცია უდავოდ სევასტოპილის დაბომბვა და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მთავარი შტაბის განადგურება იყო. სავარაუდოდ, ყირიმზე დარტყმები გაძლიერდება. დაიბომბება როგორც თავად სევასტოპოლი, ასევე ფეოდოსია, სიმფეროპოლი თუ სხვა ქალაქები.

აი, მოკლედ ის წერტილები, სადაც უახლოეს ხანებში ვითარების მკვეთრი გართულებაა მოსალოდნელი.

# შედგა აშშ-ის სახელმწიფო მდივნისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის საუბარი

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს ესაუბრა. ბლინკენმა აზერბაიჯანელ კოლეგას მოუწოდა, რომ მთიან ყარაბაღში სომეხთა უფლებები არ იქნას დარღვეული.

ილჰამ ალიევმა თავის მხრივ დაარწმუნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, რომ მთიან ყარაბაღში ადამიანის უფლებები დაცული იქნება.

# რუსებმა დონეცკის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილი დაბომბეს

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. კუპიანსკის მიმართულებით ერთგვარი სიწყნარეა. ოკუპანტებმა აქ ახალი სამხედრო შენაერთები გადაისროლეს, მაგრამ შეტევაზე არ გადადიან. იგივე სურათია ლიმანის მიმართულებითაც.

რაც შეეხება დონეცკის ფრონტს, აქ უკრაინელებს მცირე, მაგრამ მაინც წინსვლა აქვთ. პასუხად რუსებმა დონეცკის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი დაბომბეს. დაიღუპა 1 ადამიანი, დაიჭრა 6. რაც შეეხება მდგომარეობას ბახმუტთან, აქ უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს. პუტინის ბრძანებით, ბახმუტში გასამხედროებული ფირმა „ვაგნერის" ბანდები გადაისროლეს, რათა მათ ბახმუტში რუსებისთვის შექმნილი სავალალო ვითარება გამოასწორონ.

საინტერესო ვითარებაა ზაპოროჟიეს ოლქში. რობოტინოსთან უკრანული არმია რუსეთის კონტრშეტევებს წარმატებით იგერიებს და წინაც მიიწევს. უკრაინელები დაკავებულ ტერიტორიაზე მაგრდებიან.

უკრაინული არმია ტოკმაკიდან უკვე 12 კმ-ის დაშორებით იმყოფება. ტოკმაკი განუწყვეტლივ იბომბება ამერიკული რაკეტებით. რაც შეეხება მელიტოპოლს, აქ აფეთქებათა სერია არ წყდება.

უკრაინაში გაჭიანურებული ომი სავალალო მდგომარეობაში აყენებს რუსეთს. თანახმად ნტვ-ს ინფორმაციისა, რუსეთში ახალი მობილიზაცია მზადდება. ის მომავალი წლის 1 იანვრიდან დაიწყება.



# აშშ-მ სამი ჩინური კომპანია შავ სიაში შეიყვანა

აშშ-ის მთავრობამ სამ ჩინურ კომპანიას აშშ-ში საქმიანობა აუკრძალა. მიზეზი ჩინელების მიერ იძულებითი შრომის გამოყენებაა.

რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" ცნობით, სინციანში ჩინეთმა იქაური მცხოვრებლების ნამდვილი გენოციდი გააჩაღა. აშშ-მაც ადამიანის უფლებების დარღვევაზე სათანადო რეაგირება მოახდინა.

# შოიგუს სენსაციური აღიარება



როგორც ცნობილია, რუსეთის თავდაცვის მინისტრი, სკანდალურად ცნობილი შოიგუ შარშან აცხადებდა, რომ უკრაინული არმია განადგურებულია და ომიც მალე დამთავრდება.

ომი კი არ მთავრდებოდა. მეტიც, უკრაინელებმა გააძევეს ოკუპანტები როგორც ხარკოვსჩინიდან, ისე ხერსონიდანაც. მარცხით დასრულდა რუსების მცდელობა, აეღოთ კუპიანსკი და მოვლენებში მათთვის სასარგებლო გარდატეხა შეეტანათ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა დაამატა, რომ ომი სავარაუდოდ 2024-25 წლებშიც გაგრძელდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# კალიფორნიაში პრეზიდენტობის კანდიდატების მეორე ტელედებატები შედგა

კალიფორნიაში პრეზიდენტობის კანდიდატების (რესპუბლიკური პარტიიდან) მეორე დებატები გაიმართა. მათში მონაწილეობდნენ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი, სამხრეთ კაროლინის ყოფილი გუბერნატორი ნიკი ჰეილი, ფლორიდის გუბერნატორი დესანტისი, ჩრდილოეთ დაკოტის გუბერნატორი დაგ ბერტუმი, სენატორი სამხრეთ კაროლინიდან ტიმ სკოტი, ნიუ იორკის ექსგუბერნატორი ჯეფრი კრისი და ბიზნესმენი რამასვამი. დებატებში არ მონაწილეობდა რესპუბლიკელთა ყველაზე ძლიერი კანდიდატი, ექსპრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ტელევიზიით გამოსვლას მან მიჩიგანში ჩასვლა და იქაური მუშების წინაშე გამოსვლა არჩია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# სანიკიძე ფიბას კომისიაში შეიყვანეს




პირველად, ქართული კალათბურთის ისტორიაში, ფიბას სამუშაო კომისიაში საქართველოს წარმომადგენელი შეიყვანეს. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, ვიქტორ სანიკიძე მსოფლიო კალათბურთის მმართველი ორგანიზაციის საშეჯიბრო კომისიის წევრი გახდა.

სანიკიძის კომისიაში შესაყვანად წარდგინება მანილაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე მოხდა, რაც ფიბასგან მოსული ოფიციალური წერილით ახლა დადასტურდა.

წერილში აღნიშნულია, რომ საშეჯიბრო კომისიაში სანიკიძის არჩევა მოხდა კალათბურთისადმი მისი ერთგულების, ამ სფეროში გამოცდილებისა და საჭირო უნარების ფლობის გათვალისწინებით.

ფიბას საშეჯიბრო კომისია თავის მხრივ ოთხ ქვეკომისიას აერთიანებს: კაცთა, ქალთა, ახალგაზრდული ნაკრებებისა და კლუბების. საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კლუბების ქვეკომისიის წევრი იქნება, რომელიც პერიოდულად შეიკრიბება და საერთაშორისო ტურნირებთან და კლუბებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებს.

საკონტინენტო საკალათბურთო ორგანიზაციაში ქართველებს აქამდეც უმუშავიათ და ფიბა-ევროპის კომისიებში ახლაც არიან ჩვენი ფედერაციის წარმომადგენლები, მაგრამ ფიბა-მსოფლიოში ვიქტორ სანიკიძე პირველი ქართველი იქნება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბაიდენის ძაღლმა საიდუმლო სამსახურის აგენტები დაკბინა



აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ძაღლმა, სახელად კომანდერმა, თეთრი სახლის ტერიტორიაზე საიდუმლო სამსახურის 11 აგენტი დაკბინა.

ერთ-ერთი ამერიკული ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საიდუმლო სამსახურის ოფიცერი კონტაქტში შევიდა პრეზიდენტის ოჯახის ძაღლთან, რომელმაც მას უკბინა. ადგილზე მყოფმა სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებმა მას კომპლექსური დახმარება აღმოუჩინეს.

გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე ნათქვამია, რომ ბაიდენები სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებენ ქვეყნის პრეზიდენტის რეზიდენციის თანამშრომლებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# მამაკაცი საზღვარზე ნარკოტიკების გადატანას კიტრებით ცდილობდა

აშშ-ში დააკავეს მექსიკის მოქალაქე, რომელიც ცდილობდა კიტრების პარტიაში დაემალა 180 კილოგრამი კოკაინი. 33 წლის მექსიკელი კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-დიეგოში მისაბმელიანი სატვირთო მანქანით ჩავიდა. საბუთების თანახმად,მას საზღვარზე კიტრის პარტიის გადატანა სურდა, მაგრამ საბაჟო სამსახურის თანამშრომლებმა ტვირთის შემოწმება გადაწყვიტეს და ბოსტნეულში ჩამალულ 146 შეკვრა ნარკოტიკს მიაგნეს.

მექსიკის მოქალაქეს საერთო ჯამში საზღვარზე 180 კილოგრამი კოკაინის გადატანა სურდა. აკრძალული ტვირთის ფასმა 5,3 მილიონი დოლარი შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## განცხადებები

- ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.
- ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.
- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ოჯახი – შვილები, შვილიშვილები და რძლები
დიდი სიყვარულით ვულოცავთ
1 ოქტომბერს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს
**იაკობ (გუგული) იაკოფოვს**
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბევრ სიხარულსა და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს.



25 წლის



45 წლის



90 წლის

# ბორჯღალოსნები ფიჯისთან ბალანსის გამოსასწორებლად ემზადებიან

2023 წლის მსოფლიო თასზე ბორჯღალოსნები მესამე მატჩს 30 სექტემბერს ბორდოში, ფიჯის წინააღმდეგ გამართავენ.

ორი თამაშის შემდეგ საქართველო მსოფლიო თასზე ჯერჯერობით მოგების გარეშეა. ავსტრალიასა და პორტუგალიასთან თითო ტაიმში ნაჩვენები კარგი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა და ავსტრალიამ 35:15 მოიგო, პორტუგალიასთან ჯახი კი ფრედ 18:18 დასრულდა.



ფიჯი მსოფლიო თასზე მეცხრედ თამაშობს და მხოლოდ ერთი, 1995 წლის ჩემპიონატი გამოტოვა. ორჯერ კი მეოთხედფინალში (1987 და 2007 წლებში) გავიდა და წელს ამ შედეგის გამეორების კარგი შანსი აქვს.

მას შემდეგ, რაც ფიჯის ფრენჩაიზი ზე-რაგბის დაემატა, კუნძულელები კიდევ უფრო უკეთ ათამაშდნენ. წელს მათ უპრობლემოდ მოიგეს წყნარი ოკეანის თასი, რის შემდეგაც ორი გასახურებელი თამაში გამართეს ტიერ1-ის გუნდებთან და საფრანგეთთან 17:34 მარცხის შემდეგ, ისტორიაში პირველად ინგლისს 30:22 მოუგეს, თანაც – თვიქენჰემზე.

ფაქტია, რომ ახალი სამწვრთნელო შტაბი გუნდს შესანიშნავად მოერგო და ეს უშუალოდ მსოფლიო თასზეც აისახა. საფრანგეთში გამართულ პირველ მატჩში ფიჯის უელსის დამარცხებამდე სულ ცოტა დააკლდა, თუმცა 7 და ნაკლები ქულით მარცხისა და 4 ლელოს გატანისთვის ორი ბონუს ქულა აიღო – 26:32. მეორე შეხვედრა მათ ავსტრალიასთან ჰქონდათ და მეტოქე 22:15 დაამარცხეს. შედეგად, ფიჯის ორი თამაშიდან 6 ქულა აქვს (ავსტრალიას ამდენივე 3 თამაშიდან), ჯგუფში მეორე ადგილზეა და ორივე დარჩენილი შეხვედრის მოგების შემთხვევაში (საქართველო და პორტუგალია) თასის მეოთხედფინალში გავა.

საქართველოს ფიჯისთან 6-ჯერ უთამაშია და ჯერჯერობით სრული უპირატესობა მეტოქის მხარესაა. ბორჯღალოსნებმა მოიგეს მხოლოდ ერთი თამაში, ერთი ფრედ დაასრულეს, 4-ში კი გამარჯვება კუნძულელებს დარჩათ. პირველი თამაში 2012 წელს „მიხეილ მესხზე" შედგა და ფიჯიმ, 24:19 იმარჯვა; 2016 წელს სუვაში რევანში შედგა – საქართველომ 14:3 მოიგო; 2018-21 წლებში მეტოქეს ზედიზედ ოთხჯერ ვეთამაშეთ: სუვაში 15:37 წავაგეთ; 2019 წლის მსოფლიო თასზე ოსაკაში 10:45; 2020 წელს ედინბურგში 24:38; 2021 წელს არანხუესში 15:15.

საქართველომ ფიჯის გაუტანა 8 ლელო და 97 ქულა, თავად კი 23 ლელო და 162 ქულა გაუშვა. მოცემული მომენტისთვის ფიჯი მსოფლიო რეიტინგში მე-8 ადგილზეა, საქართველო კი მე-14 პოზიციაზეა.

ფიჯისთან მატჩისთვის ემზადებიან ქართველი მორაგბეებიც. ჩვენს გუნდს ფლეი ოფში გასვლის მინიმალური შანსი აქვთ, მაგრამ უკან დახევას არ აპირებენ.

**ვასილ ლობჟანიძე:**

– ვიცით, რომ ფიჯი ძალიან ძლიერი ნაკრებია, ამდენად, ამ თამაშისთვის კარგად მომზადება აუცილებელია. გავითვალისწინეთ ის შეცდომები, რომლებიც პორტუგალიასთან დავუშვით და ეს ყველაფერი უნდა გამოვასწოროთ. სავარჯიშო კვირა კარგად მიმდინარეობს და შევეცდებით, ფიჯისთან იხილოთ სხვა საქართველოს ნაკრები, როგორიც პორტუგალიასა და ავსტრალიასთან არ ყოფილა. რა თქმა უნდა, წნეხი უფრო მეტოქეზე იქნება, რადგანაც, როგორც ჯოშუა ტუისოვამ თქვა, ისინი ჩვენთან თამაშს, როგორც ფინალს, ისე უყურებენ. ჩვენ არანაირი წნეხი არ გვაქვს და შევეცდებით, რაც შეიძლება ლაღად ვითამაშოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ.

**დემე თაფლაძე:**

– ფიჯი როგორც ტექნიკურად, ასევე ტაქტიკურად ძალიან ძლიერი ნაკრებია. მათთან თამაშისთვის ძალიან დიდი ხანია ვემზადებით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ წინააღმდეგ ღირსეულად წარვდგეთ. ფიჯი ნამდვილად მოძლიერებულია, თუმცა, ჩვენც გავძლიერდით. რაც წინა ორ მატჩში დაგვაკლდა, იმის გაუმჯობესება მიმდინარეობს. ყველანაირად ვეცდებით, ეს შეცდომები აღმოვფხვრათ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ მოვუგოთ.

საქართველო-ფიჯის მატჩი 30 სექტემბერს 19:45 საათზე დაიწყება.

# საბა საზონოვი: „ერთი სული მაქვს, ტორინო-ნაპოლის მატჩი გაიმართოს"

საქართველოს ნაკრებისა და ტორინოს ქართველი მცველი საბა საზონოვი მეექვსე ქართველი გახდა, რომელმაც სერია A-ში ითამაშა. მანამდე ევროპის ერთ-ერთ წამყვან ლიგაში კახა კალაძეს, ლევან მჭედლიძეს, ხვიჩა კვარაცხელიას, ლუკა ლოჩოშვილსა და გიორგი კვერნაძეს უთამაშიათ.

ლაციოსა და ტორინოს მატჩის 27-ე წუთზე ალესანდრო ბონჯორნომ ტრავმა მიიღო და მწვრთნელმა თამაშში ქართველი მცველი ჩართო. მიუხედავად იმისა, რომ ტურინელებმა მეორე ტაიმში ორი გოლი გაუშვეს და 0:2 წააგეს, საბას კარგი დებიუტი ჰქონდა და იტალიურმა პრესამაც შეაქო.



მანამდე კი, საზონოვთან ინტერვიუც გამოქვეყნდა.

***– როგორი იყო პირველი დღეები ტორინოში?***

– საინტერესო დღეები იყო – პირველი შეხება გუნდთან და მწვრთნელთან. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. იურიჩს აქვს თავისი სათამაშო მეთოდი, ძალიან ზუსტი ტაქტიკური იდენტობა. ამიხსნა, რა უნდა ჩემგან და ძალიან კონკრეტულ რაღაცებს ითხოვს. ცხადია, ეს განსხვავებული სტილია, ვიდრე მიჩვეული ვიყავი, მაგრამ მომწონს ის, რასაც ჩემგან ითხოვს. მომწონს დუელებში შესვლა, ეს არის ის, რაც ჩემს თვისებებს შეესაბამება. ტაქტიკა კარგად უნდა გავიგო და გუნდთან ახლოს ვიყო. იმედი მაქვს, რომ მალე მექნება ძირითად შემადგენლობაში თამაშის შანსი.

***– ტორინოს დაცვას საკმაოდ განსაზღვრული იდენტობა აქვს. რა შეგიძლიათ ისწავლოთ სხუურსისგან, ბონჯორნოსა და როდრიგესისგან?***

– მომწონს, რომ კონკურენციაა, რადგან ეს გაძლიერებს. თუ არ არის კონკურენცია, გასაუმჯობესებლად არ მოძრაობ. ძალიან ძლიერი და ჭკვიანი მცველები გვყავს, ისინი დიდი ხანია ერთად თამაშობენ. არ ვიტყოდი, რომ მათგან რაიმე უნდა ვისწავლო, მაგრამ უნდა გავიგო, რისი გაკეთება შეგვიძლია მოედანზე ერთად. მათთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

***– თქვენს ქვეყანაში საუკეთესო ფეხბურთელი კვარაცხელიაა. იცნობთ მას? ესაუბრეთ? თუნდაც იტალიურ ფეხბურთზე.***

– ის იყო ერთ-ერთი პირველი ადამიანი, ვინც მომწერა და იტალიაში გადასვლა მომილოცა. მან მხოლოდ დადებითი მითხრა აქაურ ფეხბურთსა და იტალიელ ფანებზე. ერთად ვთამაშობთ ნაკრებში, მაგრამ ვუთხარი, რომ აქ ერთმანეთის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლა გვექნება. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. ერთი სული მაქვს, ტორინო-ნაპოლის მატჩი გაიმართოს.

***– იურიჩი 3-კაციანი დაცვით თამაშობს. თამაში ცენტრში გირჩევნიათ თუ მარჯვნივ?***

– ცენტრში თამაში მომწონს, მაგრამ მარჯვნივაც. ეს არის შეკითხვა, რომელიც მწვრთნელს უნდა დაუსვათ, ყველაფრისთვის მზად ვარ, კარში სათამაშოდაც კი.

***– რა არის თქვენი სეზონური მიზნები?***

– ბევრს ვიმუშავებ, რომ მწვრთნელი დავარწმუნო, ძირითადში მათამაშოს. ვიცი, რომ იტალიის ჩემპიონატი მცველებისთვის ძალიან სასარგებლოა. მინდა, რაც შეიძლება მეტი თამაში ჩავატარო.

***– რატომ ამჯობინეთ ორმაგი მოქალაქეობით საქართველოს ნაკრებში თამაში?***

– დედაჩემი ქართველია, მამაჩემი – რუსი. არ მიყვარს ახსნა, რთული არჩევანი იყო. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ქართველი ფეხბურთელი ვარ და ბედნიერი ვარ, რომ ევროპის 21-წლამდე ჩემპიონატზე ვითამაშე.

***– რამდენად კმაყოფილი ხართ იტალიაში გადმოსვლით?***

– იტალიაში თამაში ოცნება იყო. ვიცი ინგლისური ენა, მაგრამ იტალიურს ვსწავლობ. მინდოდა ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დამეწყო. მომწონს იტალიური ფეხბურთი და მისი სტილი. მინდოდა ამ ლიგაში მეთამაშა, რათა განვვითარებულიყავი.

***– რატომ აირჩიეთ ტორინო? იცოდით ამ კლუბის ისტორია?***

– ზოგიერთი ფრაზა ვიცი: ჩვენ ვართ ტორო, ჩვენ ვართ გრანატა. ტორინოსთან მოლაპარაკებები გარკვეული ხანი მიდიოდა, ეს არის ძალიან კარგი კლუბი, რომელიც სერია ა-ში სტაბილურად თამაშობს, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. აქ მოსვლა იურიჩის, ქალაქის, გუნდისა და მთელი რიგი მიზეზების გამო გადავწყვიტე. მომწონს აქ ყოფნა.

***– როგორია ვარჯიშებზე საპატას, სანაბრისა და პელეგრის წინააღმდეგ თამაში? რას ფიქრობთ მათზე?***

– მათთან ყოველდღე ვმუშაობ და შემიძლია ვთქვა, რომ ყველა თვალსაზრისით ძალიან ძლიერები არიან. ასეთი ადამიანის წინააღმდეგ სათამაშოდ ყოველთვის ყურადღებით და ფხიზლად უნდა იყო. უნდა ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რომ ისინი ჩვენს გუნდში არიან და არა მეტოქის რიგებში.

***– როგორ ფიქრობთ, იურიჩი კმაყოფილია თქვენი პროგრესით?***

– ჯობია, მას ჰკითხოთ. რა თქმა უნდა, ბევრს ვსაუბრობთ, მელაპარაკება, როგორ უნდა ვითამაშო დაცვაში და ეს კარგად უნდა გავითავისო, რადგან სხვანაირად თავის დაცვას ვარ მიჩვეული. ყოველ ვარჯიშზე მეტს ვიგებ, უფრო და უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, მაგრამ მან უნდა თქვას, რას ფიქრობს ჩემზე.

***– საუბრობთ თქვენს მშობლებთან რუსეთში დღეს არსებულ სიტუაციაზე?***

– ჩემი მშობლები საქართველოში ცხოვრობენ.

# აუტსაიდერთა მატჩი გაგრამ მოიგო

**გაგრა-შუქურა 1:0**

**თბილისი. დავით პეტრიაშვილი**

**1:0 მუსელიანი (56პ)**

**გაგრა:** ვორობეი, ხოსიტაშვილი, პაპავა, კაკუბავა, კლოდინი, სულთანიშვილი (ჟორდანია 75), კაკაშვილი, ლომთაძე (ბურჯანაძე 82), შონია (ივანიაძე 62), მუსელიანი, შონგა (მამაცაშვილი 82)

**შუქურა:** კულუა, კამლაძე, ასათიანი, ჩაკვეტაძე, გ.ქავთარაძე, ჯანელიძე, ჯინჭარაძე, კვარაცხელია, ბ.ვერულიძე (გოგოლაშვილი 46), ჩანქსელიანი, მუჯირი

ეროვნული ლიგის 27-ე ტურში გაგრამ 1:0 მოუგო ქობულეთის შუქურას. გაგრელებმა ბოლოადგილოსან ზღვისპირელებს ზურაბ მუსელიანის გატანილი პენალტით სძლიეს, რომელიც მსაჯმა, გიორგი ვარდიძემ ვარზე გადამოწმების მერე დანიშნა: შუქურას ნახევარმცველ საბა ჯინჭარაძეს ხელზე მოხვდა ბურთი.

მუსელიანს მიმდინარე სეზონში 8 გოლი მოუგროვდა, აქედან ნახევარი შუქურას კარში გაიტანა. არადა, ზურაბი შარშან სწორედ ქობულეთის გუნდში თამაშობდა.

სხვათა შორის, გაგრამ 6 ივნისის შემდეგ პირველად გაიმარჯვა. სულ ხუთი მოგება აქვს და აქედან სამი – შუქურასთან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 26 | 16 | 8 | 2 | 58-28 | 56 |
| 2.დინამო (თბ) | 26 | 14 | 7 | 5 | 66-38 | 49 |
| 3.საბურთალო | 26 | 13 | 6 | 7 | 53-29 | 45 |
| 4.დილა | 26 | 12 | 8 | 6 | 42-28 | 44 |
| 5.სამგურალი | 26 | 12 | 6 | 8 | 36-36 | 42 |
| 6.ტორპედო | 26 | 10 | 9 | 7 | 30-28 | 39 |
| 7.თელავი | 26 | 7 | 6 | 13 | 23-42 | 27 |
| 8.სამტრედია | 26 | 6 | 4 | 16 | 27-45 | 22 |
| 9.გაგრა | 27 | 5 | 7 | 15 | 24-52 | 22 |
| 10.შუქურა | 27 | 3 | 5 | 19 | 33-66 | 8 |

**შენიშვნა:** შუქურას დაკლებული აქვს 6 ქულა

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

**27 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბილბაო-ხეტაფე ........ 2:2
ვილიარეალი-ხირონა ........ 1:2
რეალი-ლას პალმასი ........ 2:0
ვალენსია-სოსიედადი ........ 0:1
კადისი-რაიო ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 7 | 6 | 1 | 0 | 18-8 | 19 |
| 2.რეალი | 7 | 6 | 0 | 1 | 13-6 | 18 |
| 3.ბარსელონა | 7 | 5 | 2 | 0 | 18-8 | 17 |
| 4.ბილბაო | 7 | 4 | 2 | 1 | 13-6 | 14 |
| 5.სოსიედადი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-10 | 12 |
| 6.რაიო | 7 | 3 | 2 | 2 | 8-10 | 11 |
| 7.ატლეტიკო | 5 | 3 | 1 | 1 | 13-5 | 10 |
| 8.ვალენსია | 7 | 3 | 1 | 3 | 9-7 | 10 |
| 9.კადისი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-8 | 9 |
| 10.ხეტაფე | 7 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |
| 11.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-11 | 8 |
| 12.სევილია | 7 | 2 | 1 | 3 | 11-9 | 7 |
| 13.ოსასუნა | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 14.ვილიარეალი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-13 | 7 |
| 15.მალიორკა | 7 | 1 | 3 | 3 | 9-12 | 6 |
| 16.ალავესი | 7 | 2 | 0 | 5 | 5-11 | 6 |
| 17.ლას პალმასი | 6 | 0 | 2 | 3 | 2-4 | 5 |
| 18.სელტა | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| 19.გრანადა | 6 | 1 | 0 | 5 | 9-17 | 3 |
| 20.ალმერია | 7 | 0 | 2 | 5 | 8-18 | 2 |

## იტალია. სერია ა

ვერონა-ატალანტა ........ 0:1
კალიარი-მილანი ........ 1:3
ემპოლი-სალერნიტანა ........ 1:0
ინტერი-სასუოლო ........ 1:2
ლაციო-ტორინო ........ 2:0
ნაპოლი-უდინეზე ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 15-3 | 15 |
| 2.მილანი | 6 | 5 | 0 | 1 | 13-8 | 15 |
| 3.იუვენტუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| 4.ატალანტა | 6 | 4 | 0 | 2 | 11-5 | 12 |
| 5.ნაპოლი | 6 | 3 | 2 | 1 | 12-6 | 11 |
| 6.ლეჩე | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 11 |
| 7.ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11-9 | 10 |
| 8.სასუოლო | 6 | 3 | 0 | 3 | 11-12 | 9 |
| 9.ფროზინონე | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 10.ტორინო | 6 | 2 | 2 | 2 | 6-7 | 8 |
| 11.ლაციო | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| 12.ვერონა | 6 | 2 | 1 | 3 | 4-6 | 7 |
| 13.ბოლონია | 5 | 1 | 3 | 1 | 3-4 | 6 |
| 14.რომა | 5 | 1 | 2 | 2 | 12-7 | 5 |
| 15.მონცა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 16.ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 17.სალერნიტანა | 6 | 0 | 3 | 3 | 4-10 | 3 |
| 18.უდინეზე | 6 | 0 | 3 | 3 | 2-10 | 3 |
| 19.ემპოლი | 6 | 1 | 0 | 5 | 1-13 | 3 |
| 20.კალიარი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-9 | 2 |

## იტალია. სერია ბ

კატანძარო-ჩიტადელა ........ 1:1
კომო-სამპდორია ........ 1:0
პარმა-ბარი ........ 2:1

## ნიდერლანდები. ეკრედივიზიონი

აიაქსი-ფეიენოორდი ........ 0:4
პსვ-იგლზი ........ 3:0
ტვენტე-ვიტესი ........ 1:0

## ბელგია. ა დივიზიონი

ანტვერპენი-გენტი ........ 0:0

## თურქეთი. სუპერლიგა

ადანა-ბეშიქთაში ........ 4:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მალალხარისხოვანი წმინდა ღვინო; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. მოკლელულიანი შაშხანა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი სახე; 6. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი, ბოროტი არსება; 7. მონასტერი ქსნის ხეობაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 13. თონეში გამომცხვარი პური; 16. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი; 19. დიდი ღელვა ზღვაზე; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 24. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 1. მსუბუქი ავტომობილების ამერიკელი კონსტრუქტორი; 3. ერთბინიანი პატარა სახლი; 8. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 9. უკუდო მაიმუნი; 14. გარითმული აფორიზმი; 15. ლითონის ფული; 17. მუსიკალური ბგერის პირობითი გრაფიკული ნიშანი; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გდანსკი; 2. ხარატი; 3. კულინარია; 4. თუთუნი; 5. ვალმარტი; 7. სონი; 11. სპეტაკი; 13. მატროსი; 15. გენუა; 16. სელტა; 18. რომბი; 19. ტესტი.

**თარაზულად:** 6. დუნსტი; 8. თაფლუჭი; 9. თრთვილი; 10. სუფიქსი; 12. ხირსა; 14. ქიმერა; 17. ინტერნეტი; 20. აკაპელა; 21. ჟუდეცი; 22. ბისტრო; 23. გარდნერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯემი; 2. ინა; 3. მალარიჩი; 4. დო; 5. ლიმონათი; 6. პაპი; 7. დისპუტი; 10. ზარა; 11. პართენონი; 12. სათაფლია; 13. რელე; 16. სალაპი; 18. დრენაჟი; 19. ისინდი; 21. ძეხვი; 24. ტოკაი.

**თარაზულად:** 1. ჯეირანი; 3. მიკადო; 8. ხილარი; 9. მუზა; 14. ბრერა; 15. სედანი; 17. თუჯი; 20. ჩხეიძე; 22. თართი; 23. სოფიტი; 25. მეი; 26. აული; 27. ანსა; 28. კარნავალი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

29 სექტემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6832

ევრო — 2.8270

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2719

100 რუსული რუბლი — 2.7636

**ამინდის პროგნოზი 29 სექტემბრისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვიჩა კვარაცხელიას უგოლო სერია დასრულდა



ხვიჩა კვარაცხელიას უგოლო სერია, რომელიც მარტიდან გრძელდებოდა, დასრულდა და ქართველმა შემტევმა უდინეზეს წინააღმდეგ შეძლო თავის გამოჩენა და საკმაოდ ლამაზი გოლიც გაიტანა.

გოლის გარდა, კვარაცხელიამ თავისი გუნდისთვის პენალტიც გამოიმუშავა და საგოლე პასი გააკეთა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხვიჩასთვის ეს საუკეთესო თამაში იყო წლევანდელ სეზონში. შემდეგ შეხვედრას ნაპოლი სტუმრად ლეჩესთან ჩაატარებს, ხოლო ამის მერე კი ისინი საკუთარ მოედანზე მადრიდის რეალს მიიღებენ.

# ანჩელოტი: „რეალი კარგ ფორმაშია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ლას პალმასის დამარცხების შემდეგ თქვა, რომ მისი გუნდი კარგ ფორმაშია და მომავალ შეხვედრებში ისინი მხოლოდ მოუმატებენ:

– თითქმის იდეალური შეხვედრა ჩავატარეთ და მეტოქეს შანსი არ მივეცით. ესპანეთის ჩემპიონატი გრძელი ტურნირია და ჩვენ კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ჩვენი ძალების ჩვენება, თუ გვინდა გამარჯვების მოპოვება.

# ნეიმარი შესაძლოა სანტოსში დაბრუნდეს



ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი, რომელიც ამჟამად საუდის არაბეთში თამაშობს, შესაძლოა მშობლიურ სანტოსში დაბრუნდეს, რადგან იქ მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და ბრაზილიაში მას გაცილებით უკეთ ექცევიან, ვიდრე ეს პსჟ-ში იყო.

საუდის არაბეთში ნეიმარი მხოლოდ ერთი სეზონის გატარებას აპირებს და შემდეგ უკვე ის, დიდი ალბათობით, სამშობლოში დაბრუნდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნანა შარიქაძე: „ხარვეზი სისტემაშია!“



ასე მიაჩნია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორს ნანა შარიქაძეს:

– აკადემიური თავისუფლება და უმაღლესის ავტონომია არის ფასეულობა და არავის აქვს მისი ხელყოფის უფლება.

განათლების ხარისხი აკადემიური პერსონალის გარეშე არ არსებობს. ამ პერსონალმა და მისმა მენეჯმენტმა აკრედიტაციის ჯგუფის წინასწარი მიგნებებით მაღალი შეფასება მიიღეს, სწორედ იმ რეფორმების გამო, რომელიც 21-ე საუკუნის კურიკულუმთან თავსებადობას გულისხმობს.

ამ ხარისხის გამოა, რომ აგერ უკვე 106 წლის მანძილზე, ამ ქვეყნის კულტურის სავიზიტო ბარათს ვაწარმოებთ საერთაშორისო მასშტაბით.

ხარვეზი სისტემაშია, რომელიც 2023 წელს გასული საუკუნის 30-იანი წლების საუკეთესო ტრადიციით გვესაუბრება. სამწუხაროა, რომ რეფორმა ამ სისტემას არ შეხებია.

... სულ მაინტერესებდა, რატომ არ სჭირდება ამ ქვეყანას საქმის მცოდნე და იდეით შეპყრობილი ადამიანები?

# ნინო ქათამაძე ვოლოდიმირ ზელენსკიმ დააჯილდოვა



მომღერალი ნინო ქათამაძე უკრაინის მხარდამჭერისთვის უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ დააჯილდოვა.

ქართველ ხელოვანს პრინცესა ოლგას III ხარისხის ორდენი სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი წვლილისთვის, უკრაინის სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის, მსოფლიოში უკრაინის სახელმწიფოს პოპულარიზაციისთვის გადაეცა.

# ირმა გიგანი: „კონსერვატორიას ვკარგავთ!“



პიანისტი ირმა გიგანი კულტურის სამინისტროს მიერ თბილისის კონსერვატორიაში რექტორის არჩევნების გაუქმებას აპროტესტებს:

– კონსერვატორიას ვკარგავთ, ამით იცოდეთ, რომ ქვეყანა კარგავს წამყვან სფეროს, საქართველო კარგავს საგანძურს, წლების ნაშრომს, აქამდე სიმწრით მოტანილს.

ისიც იცოდეთ – ვინც ამ მარაზმის წინააღმდეგ ხმას არ იღებთ, ისტორიაში არცთუ ისე კარგად ეწერებით. და თან როგორ ჩანხართ ამ უსახო სიჩუმეში. და რა სიმახინჯეა ეს ყველაფერი.

ირმა გიგანის მსგავსად, თეა წულუკიანის გადაწყვეტილებას სხვა მუსიკოსებიც ეწინააღმდეგებიან.

**ალექსანდრე ჯულაყიძე, პიანისტი:**

– კონსერვატორია 106 წლის მანძილზე ყოველთვის დგას თავის ადგილზე და ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საქმის, პროფესიული მუსიკალური განათლების ერთ-ერთი სამაგალითო წერტილია მსოფლიო მასშტაბით.

არასოდეს არ ყოფილა რომელიმე სამინისტროს მმართველობის ქვეშ და არასოდეს ერეოდა პოლიტიკურ ვნებათაღელვაში – მუსიკის სასწავლებელია და ასეც უნდა იყოს.

10 ნოემბერს კონსერვატორიის რექტორის არჩევნები იყო ჩანიშნული, რომელიც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი მიზეზების გამო კულტურის სამინისტრომ გააუქმა, იმიტომ, რომ დაამყაროს მისთვის მისაღები „წესრიგი“ იქ, სადაც ჯერჯერობით არის შემორჩენილი ჯანსაღი აზრიც, თავისუფლებაც, აზროვნებაც, ქვეყნის სიყვარულიც.



**სანდრო ნებიერიძე, პიანისტი:**

– საბჭოთა კავშირში, მადლობა ღმერთს, არ მიცხოვრია და არც ვაპირებ. ყველას გელით კონსერვატორიასთან, ვისაც ქართული მუსიკის და ხელოვნებისთვის გული შეგტკივათ!

**მიშა მდინარაძე, კომპოზიტორი:**



– იმის მიუხედავად, რომ კონსერვატორია არ დამიმთავრებია ჩემი ცხოვრება მჭიდროდ უკავშირდება ამ სასწავლებელს. ის, რაც ხდება, მართლა აღარაფერში არ წერია! დიდი იმედი მაქვს, ყველა ერთად დავდგებით ამ სიგიჟის და საზიზღრობის გასაპროტესტებლად!

# კონსერვატორიის აკადემიური საბჭო: „რექტორის არჩევნები გამოცხადდა და მიმდინარეობდა კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით“



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიურმა საბჭომ რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გაავრცელა:

– თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭო ეხმიანება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განცხადებას, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევნების პროცესის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ხარვეზით მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

აკადემიური საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რექტორის არჩევნები გამოცხადდა და მიმდინარეობდა კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობით და მისი დაცვით. აღვნიშნავთ, რომ კონსერვატორიის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს გაუქმებული დადგენილება სრულად შეესაბამებოდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №ო05/90 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მოთხოვნებს და იგი მიღებული იქნა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კონსერვატორიის მოქმედი წესდების შესაბამისად ფორმირებული აკადემიური საბჭოს მიერ. სწორედ ამ წესით ფორმირებული აკადემიური საბჭოს მიერ აირჩეოდა კონსერვატორიის რექტორები წლების განმავლობაში იმ ფონზე, რომ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი კონსერვატორიაში არსებობს 2002 წლიდან (არა როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული, არამედ როგორც კონსერვატორიის სტრუქტურული ერთეული).

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება ავალებს კონსერვატორიას, განახორციელოს ცვლილება წესდებაში და სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრს განუსაზღვროს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი. სამინისტროს პოზიციით, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს რექტორის არჩევნები, რადგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით, აღნიშნული სტატუსი ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრს მისცემს შესაძლებლობას, ჰყავდეს არჩეული წარმომადგენელი აკადემიურ საბჭოში.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სამომავლოდ ცენტრისთვის სტატუსის განსაზღვრის საკითხი არ არის კავშირში რექტორის არჩევნების პროცესთან, და მიგვაჩნია, რომ ცენტრისთვის სამომავლოდ განსასაზღვრი სტატუსის საკითხი არ შეიძლება გახდეს რექტორის არჩევნებთან დაკავშირებული დადგენილების გაუქმების საფუძველი („სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ 2023 წლის 28 ივლისის №52/2023).

კონსერვატორიის მართვის ორგანოები კანონით დადგენილი წესით, პროცედურით და არსებული ადამიანური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით იმსჯელებს და ჩამოაყალიბებს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით (ცენტრი იყოს კონსერვატორიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, კონსერვატორიის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის, თუ კონსერვატორიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსით თუ სხვა).

აქვე აღვნიშნავთ, რომ აკადემიური საბჭოს შემადგენლობის გაზრდის საკითხი, ჯერ კიდევ, 2022 წლის მაისში დაისვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინაშე, როდესაც კონსერვატორიის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ შემუშავებული კონსერვატორიის წესდების ცვლილებების პროექტი, მათ შორის აკადემიური საბჭოს შემადგენლობის გაზრდის წინადადება წარდგენილი იქნა სამინისტროში დასამტკიცებლად. წარდგენილ დოკუმენტაციაში ასევე აღნიშნული იყო, რომ იმ დროისთვის მოქმედ აკადემიურ საბჭოს ვადა ეწურებოდა 2022 წლის 28 სექტემბერს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონსერვატორიამ უნდა განაგრძოს კანონმდებლობის და კულტურის სამინისტროს მიერ 2014 წლის 7 ივლისის №ო05/90 ბრძანებით დამტკიცებული და დღეს მოქმედი კონსერვატორიის წესდების სრული დაცვით წარმოებული რექტორის არჩევნების პროცესი და აქედან გამომდინარე, გთხოვთ გააუქმოთ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 25/09/2023 №00033770 ბრძანება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ივლისის (№ო16 სხდომაზე) დადგენილების გაუქმების შესახებ („სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“).

სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭო: აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 7 წევრით. მათგან ექვსმა (6) მხარი დაუჭირა ზემოთ აღნიშნული განცხადების ტექსტს: ნანა შარიქაძე – აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, მარინა ქავთარაძე, გვანცა ლვინჯილია, გიორგი (გოგა) შავერზაშვილი, მერი ჟვანია, ზეინაბ (ლალი) ბაქრაძე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქამრის ლითონის ენიანი შესაკრავი; 2. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 3. ჰიუგოს რომან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ პერსონაჟი; 4. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 5. ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია; 7. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 13. შავი ზღვის ზვიგენი; 15. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 18. ლხინი, დროსტარება; 19. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში.

**თარაზულად:** 6. ინდოეთის ქალაქ მუმბაის ძველი სახელწოდება; 8. ხრტილოვანი გამონაზარდი მუხლის სახსარში; 9. ყვითელი ფერის ლითონი – სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. მდგომარეობა კრიკში; 12. ლეშისმჭამელი აფრიკული ცხოველი; 14. ირანის ძველი დედაქალაქი; 17. სამძებრო პოლიციის აგენტი, მაძებარი; 20. ფულის ერთეული ბრაზილიაში; 21. საზღვარგარეთ გახსნილი ანგარიში; 22. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 23. ისტორიული ციხე-სიმაგრე ზესტაფონის მახლობლად.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*